ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რიტუალური მკვლელობა თბილისში

ნაშვილებ გოგონას დედის მკვლელობა ედება ბრალად

გვ. 7



შაბათი – კვირა, 5 – 6 ნოემბერი, 2016 №263 (7188) ფასი: 50 თეთრი

# სააკაშვილს ნაცმოძრაობიდან აგდებენ?



გვ.2

„ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, თუ რატომ აღმოვჩნდით მოუმზადებელი, წინ აღვდგომოდით არჩევნების მასობრივ გაყალბებას, რატომ ვერ შევძელით ჩვენი პოზიციების უკეთ დაცვა ბოლო 4 წლის იდეოლოგიურ დებატებში და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ახლა მაინც არ შევყვეთ ივანიშვილს მის მზაკვრულ თამაშში"

## გიგი უგულავა: „ნაციონალებს ახალი თავმჯდომარე გვჭირდება“



## „ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარედ ყველაზე დიდი მოულოდნელობაა“



გვ.3

სოსო ცისკარიშვილი: „თამარ ჩუგოშვილს ბევრად მეტი და წარმატებული ბიოგრაფია აქვს“

## ხათუნა ლაგაზიძე: „უგულავას აქვს ამბიცია, რომ სააკაშვილი ჩაანაცვლოს“

მიხეილ სააკაშვილი დისტანცირებულად პროცესებს ვერ მართავს და მას მართვის სადავეები გაექცა. ის ქვეყნის გარეთ არის და ქვეყნის შიგნით მყოფ ლიდერებს, ლოგიკურია, რომ გაუჩნდეთ ამბიცია, მართონ პროცესები



გვ.3

„ნაციონალური მოძრაობა გადარჩენისთვის იბრძვის“

## ტარიელ ფუტკარაძე: „მუსლიმანური თემით მანიპულირება რუსეთისთვის ხელსაყრელია“

„საქართველოსა და თურქეთის დაპირისპირება თურქეთს ხელს ნამდვილად არ აძლევს“

გვ.5



## ანზორ აბრალავა: „უსუფაშვილი ვერც პოლიტიკურ ცენტრს შექმნის და ვერც დაცენტრილ ორგანიზაციას“



გვ.4

„პოლიტიკა ბალასტისაგან თავისუფლდება“

ISSN 1987-9385

## ჯონდი ბაღათურია: „ჩინელებზე საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით უნდა აღძრულიყო“



„ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, დასაქმებულის უფლებები დაიცვას“

გვ.4

# სააკაშვილს ნაცმოძრაობიდან აგდებენ?

შორენა მარსაგიშვილი

## გიგი უგულავა: „ნაციონალებს ახალი თავმჯდომარე გვჭირდება“

**ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება სულ უფრო ღრმავდება. გიგი უგულავას ციხიდან მოწერილმა წერილმა კი ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა.**

ყოფილმა მერმა მატროსოვიდან მოიწერა, რომ პარტიამ ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს.

ექს-მერის წერილს, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მას ოდესიდან მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა, თბილისში კი პარტიის პოლიტსაბჭო დაინიშნა.

ყველაზე მეტად ყოფილი ნაციონალი და შემდეგ უკვე ყოფილი გირჩელი ანდრო ბარნოვი აღშფოთდა. მისი თქმით, გიგი უგულავას წერილი კარგად მოფიქრებული გეგმის ნაწილია, რომელიც გიგა ბოკერიას მოფიქრებულია.

გიგი უგულავამ ციხიდან საკმაოდ ვრცელი წერილი გამოაგზავნა. მასში საუბარია იმაზე, რომ პარტიამ ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს, რადგან მოქმედი თავმჯდომარე სააკაშვილი პოლიტდევნილია.

ნაციონალების ნაწილის შეფასებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათთვის უგულავას წერილი დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელსაც მომავალ პარლამენტში დეპუტატის რანგში ვიხილავთ, აცხადებს, რომ უგულავას მოსაზრება ყურადსაღებია.

ის ჯერ კიდევ პოლიტსაბჭოს სხდომამდე აცხადებდა, რომ პარტიას ხელმძღვანელობის განახლება მოუწევდა. მისი თქმით, საქართველოს კანონმდებლობით, მიხეილ სააკაშვილი ვერც იქნება პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე.

– როგორც გიგი უგულავას პატიმრობა არის პოლიტიკური ნიშნით, ისე მიხეილ სააკაშვილის დევნილობაში ყოფნა არის პოლიტიკური ნიშნით და ბიძინა ივანიშვილის პირადი სურვილი. მიხეილ სააკაშვილი, იმის გამო, რომ მას ჩამოართვა მოქალაქეობა ივანიშვილის რეჟიმმა, საქართველოს კანონმდებლობით ვერც იქნება პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე და ფორმალურად არც არის პარტიის თავმჯდომარე. ეს არის რეალობა, რომლის წინაშეც დაგვაყენა ივანიშვილმა, – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

უგულავას წერილი ყურადსაღები აღმოჩნდა დეპუტატ დავით დარჩიაშვილისთვის. მას მიაჩნია, რომ პარტიის განახლება აუცილებელია.

– პარტიას ახალ პირობებში სჭირდება, ჩამოყალიბდეს მისი მართვის სტრუქტურაზე და ამ მართვის რგოლის შემადგენლობაზე. ეს არის სამსჯელო თემა. აქვს პლუსები, მინუსები, ვინ უნდა გადადგეს, ვინ არ უნდა გადადგეს. ასევე მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ფორმალური თანამდებობიდან გადადგომები არ ნიშნავს პარტიიდან გასვლას და არც უნდა ნიშნავდეს. უბრალოდ, ახალ ვითარებას ახალი სტრუქტურით და შემადგენლობით უნდა ვხვდებოდეთ, – განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

ანდრო ბარნოვი მიიჩნევს, რომ ნაციონალებში არის გაქნილი ვირეშმაკების ჯგუფი, რომელსაც ეწირება პარტია და ქვეყანა. ბარნოვი განსაკუთრებით იმიტომაა გამწარებული, რომ ნაცმოძრაობაში ამბობენ, სააკაშვილი ჩვენი პრემიერობის კანდიდატი არ ყოფილაო.

– რანაირად არ იყო მიშა სააკაშვილი პარტიის პრემიერობის კანდიდატი, თუ ამის შესახებ სულ 20-მა კაცმა იცოდა? პოლიტსაბჭო ხომ 60-ზე მეტი ადამიანისგან შედგება და მხარდამჭერების აზრიც არ აინტერესებდა ამ 20 კაცს? საქმე ისაა, რომ ეს არ არის შემთხვევით გაპარული ლაფსუსი ამ წერილში.

ეს სიმართლეა და ადასტურებს იმ მდგომარეობას, რომელიც პარტიაში რეალურად არის. პატარა გაქნილი ჯგუფის მანიპულაციებს ეწირება პარტიაც და ქვეყანაც. ადრე უნდა გვეთქვა, რომ მიშა აღარ იყო ლიდერი, შეცდომააო... შეცდომა კი არა, კაი ვირეშმაკული გათვლაა, ბატონო ჩემო. ეგ რომ გეთქვათ, მერე ხმებს როგორ მიიღებდით? მაგრამ ვირეშმაკოლოგმა ბოკერიამ და შანტრაპამ კარგად გათვალა: ჯერ ხმებს აიღებდნენ მიშას სახელით და მერე ეს 20 კაცი „დაალაგებდა“ შიგნით. ახლა ამათ ჰგონიათ, რამე მოიგეს. დანარჩენზე მერე ვიტყვი, – წერს გაცეცხლებული ბარნოვი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

ფეისბუქის მეშვეობით დააფიქსირა თავისი მოსაზრება უკრაინაში მყოფმა დავით საყვარელიძემაც.

ის უგულავას წერილს გარკვეულ ნაწილში ეთანხმება, თუმცა რაღაცები აეჭვებს. მაგალითად, თუ რატომ გამოიფინა ეს წერილი საჯაროდ. ასევე აინტერესებს, ვინ მართავს პარტიას და კოლეგებს ივანიშვილის დანაბარებსაც ახსენებს.

– ვეთანხმები ჩემი მეგობრის, გიგი უგულავას წერილის იმ ნაწილს, სადაც პარტიის ჩაკეტვაზე და ციხე-სიმაგრედ ქცევაზეა საუბარი. უბრალოდ, შეკითხვას დავამატებ, რახან ასე საჯაროდ გამოიფინა და გამომზეურდა გიგის წერილი, ეგებ ისიც გულახდილად და მეგობრულად ვთქვათ, ვის გამოა დღეს ენმ-ის იზოლაცია გამოწვეული? ვისგან შედგება სახელობითად ის ჯგუფი, რომელმაც ამდენი ხანი მართა პარტია და მიზიდულობის ძალა ვერ შექმნა? ასევე კამპანია დაგეგმა და ბოლომდე ამ ფორმით მიიყვანა? არ მგონია, ციხეში გამომწყვდეული გიგის თბილისის პარტიის თავმჯდომარეობიდან გადაყენებამ პარტია გახსნას რატომღაც და რა ვქნა...

მეტს ვერაფერს დავამატებ. მე 5-ჯერ შემომითვალეს იმ „ბრძენი კაცი“-სგან, მახსოვს... ახალგაზრდა ბიჭები ხართ, კარგი სახელით, მიშას ნუ ჩაყვებით და ვილაპარაკოთო... არ ვნანობ, – წერს დავით საყვარელიძე.

* * *

თანაპარტიელებთან შესახმიანებლად სოციალური ქსელები გამოიყენა მიხეილ სააკაშვილმაც. მან ჯერ კიდევ თანაპარტიელებს მოუწოდა, მისკენ ხელის გაშვერის ნაცვლად საკუთარ შეცდომებზე ისწავლონ.

– ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, თუ რატომ აღმოვჩნდით მოუმზადებელი, წინ აღვდგომოდით არჩევნების მასობრივ გაყალბებას, რატომ ვერ შევძელით ჩვენი პოზიციების უკეთ დაცვა ბოლო 4 წლის იდეოლოგიურ დებატებში და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ახლა მაინც არ შევყვეთ ივანიშვილს მის მზაკვრულ თამაშში.

კონკრეტულმა ლიდერებმა უნდა ისწავლონ შეცდომებზე თავისი წილი პასუხისმგებლობის აღება, ნაცვლად სხვა ადამიანების პირით ჩემკენ ხელის გამოშვერისა. მათ უნდა ისწავლონ, როგორ იყვნენ ნაკლებად ხისტი და მეტად თავმდაბალი, როგორ მოუსმინონ პარტიის წევრებს და, ზოგადად, ხალხს. მათ უნდა მოუსმინონ გულშემატკივართა კრიტიკას, ნაცვლად ადამიანების მიმართ ქედმაღლური დამოკიდებულების გამოვლენისა, – ამბობს სააკაშვილი.

თანაპარტიელების ნაწილის მიერ უარყოფილმა ექსპრეზიდენტმა ნაციონალებს ახალი თავმჯდომარის და პოლიტსაბჭოს არჩევა შესთავაზა.

– მე ვარ ყველაზე დიდი მომხრე შიდაპარტიული დემოკრატიის. კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ნებისმიერმა ჯგუფმა




მოახდინოს პარტიის უზურპაცია და საკუთარ ინტერესებში გამოიყენოს ათეულობით ათასი აქტივისტის მრავალთვიანი თავგანწირვა და მუხლჩაუხრელი შრომა.

ჩემი წინადადებაა, დებატები არ შემოიფარგლოს მხოლოდ პოლიტსაბჭოს დახურულ კარს მიღმა შეხვედრებით. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, თუ რატომ აღმოვჩნდით მოუმზადებელი, წინ აღვდგომოდით არჩევნების მასობრივ გაყალბებას, რატომ ვერ შევძელით ჩვენი პოზიციების უკეთ დაცვა ბოლო 4 წლის იდეოლოგიურ დებატებში და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ახლა მაინც არ შევყვეთ ივანიშვილს მის მზაკვრულ თამაშში.

გთავაზობთ ნაციონალური მოძრაობის ყრილობის მოწვევას რამდენიმე ათასი არჩეული დელეგატით, ჩვენი გმირული აქტივის მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობით. გთავაზობთ ახალი თავმჯდომარისა და პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევას იმ ხალხისგან, ვინც არ იყო თუნდაც ბოლო საარჩევნო კამპანიების მცდარ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი და რომლებიც შეძლებენ გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევებს. ბუნებრივია, მეც მექნება ჩემი მოსაზრებები პარტიის მმართველი ორგანოების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით.

ნაციონალურ მოძრაობას სჭირდება გადაჯგუფება, ვიწრო ჯგუფის მიერ თავსმოხვეული კარჩაკეტილობის გადალახვა, დამატებით ახალი, საინტერესო ადამიანების მოზიდვა და მათი ჩართვა ივანიშვილის ოჯახურ-კლანური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნაციონალური მოძრაობა უნდა დაუბრუნდეს თავის საწყის პოზიციებს და ისევ იქცეს საერთო-სახალხო პოლიტიკურ ძალად და არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფის პირადი გამოყენების ინსტრუმენტად.

მაშინ აუცილებლად შევძლებთ ოლიგარქის დამარცხებას.

მე ყველანაირად დავეხმარები ჩვენი მომხრეებისა და აქტივისტების უზარმაზარ არმიას დიდი გამარჯვებებისთვის მომზადებაში, – ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

* * *

ყრილობის ჩატარების იდეა ნაცმოძრაობის კიდევ რამდენიმე ლიდერმა მოიწონა. თუმცა მანამდე პოლიტსაბჭო ჩანიშნეს.



პოლიტსაბჭოს დაწყებამდე საგანგებო განცხადება გაავრცელა ჯერ დეპუტატმა ჩიორა თაქთაქიშვილმა. ის თანაპარტიელებს დაჰპირდა, რომ პოლიტსაბჭოზე რამდენიმე სერიოზულ კითხვას დასვამდა, მანამდე კი ახალი თავმჯდომარის არჩევაზე კატეგორიული უარყოფითი პოზიცია გამოხატა.

მისი თქმით, ამ საკითხის დაყენებაც კი დაუშვებელია. დეპუტატი ამბობს, რომ სააკაშვილის გარდა ნაცმოძრაობას ვერავინ გაუძლვება.

– ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, ჩემთვის და პარტიის ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის პარტიის უპირობო ლიდერი არის მიშა. ვინმეს რომ ჩანაცვლება შეძლებოდა, გვქონდა 3 წელი, მიშა განდევნილი იყო, იყო ძალიან მძიმე პოლიტიკური პროცესიც და ეს ჩანაცვლება სრულიად ბუნებრივად მოხდებოდა, მაგრამ ვერ მოხდა, რადგან, სამწუხაროდ, ამის რესურსი პარტიის არცერთ დღევანდელ ლიდერს არ ჰქონდა. ეს მხოლოდ სამწუხარო რეალობაა და ენმ-ს სისუსტე, – აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

სააკაშვილის მსგავსად, ისიც ამბობს, რომ ნაცმოძრაობის ლიდერები საკუთარ თავში არ ეძებენ პრობლემებს და ხელს სხვისკენ იშვერენ.

თაქთაქიშვილი ფიქრობს, რომ ამ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და მას უნდა, სააკაშვილი პოლიტიკური საქმიანობა აუკრძალოს.

– არ ვაპირებ, არაფრის ფასად, რომ ივანიშვილის მიერ თავსმოხვეულ რეალობას შევეგუო, რომელიც მიშას და ენმ-ს სხვა ლიდერებს უკრძალავს პოლიტიკურ საქმიანობას საქართველოში ჩვენი პარტიის ამომრჩეველთა ნების საწინააღმდეგოდ.

სამაგიეროდ, მგონია, რომ მთავარი პრობლემა მაინც საკუთარი პასუხისმგებლობის ვერდანახვაა. ყველამ კეთილი უნდა ვინებოთ და ვილაპარაკოთ იმაზე, რამ შეგვიშალა ხელი ან ახლა რა გვიშლის ხელს, რომ ერთ კაბინეტში გამოკეტილი პარტია ისევ სახალხო მოძრაობად ვაქციოთ, – აღნიშნავს თაქთაქიშვილი.

* * *

მას შემდეგ, რაც განცხადებების გაკეთებით გული იჯერეს, პოლიტსაბჭოს სხდომაც ჩანიშნეს. განცხადებების გაკეთება არც პოლიტსაბჭოს დაწყების წინ დაზარებიათ.

ლიდერების ნაწილი ახალი თავმჯდომარის არჩევის აუცილებლობაზე საუბრობდა. მათი განცხადებით, იმის გამო, რომ სააკაშვილი საქართველოში არ არის, ეს თანამდებობა ისედაც ვაკანტურია.

ყველაზე მდუმარე ლიდერი დავით ბაქრაძე იყო. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ მას განიხილავდნენ პარტიის ახალ თავმჯდომარედ.

ნაციონალური მოძრაობის ოფისში პოლიტსაბჭოს სხდომა რამდენიმე საათს გაგრძელდა. პარტიამ სხდომაზე სპეციალური განცხადება მიიღო.

პოლიტსაბჭოზე რამდენიმე მთავარ საკითხზე იმსჯელეს. შეიქმნება ჯგუფი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიას შეაფასებს და პარტიის ყრილობას მოამზადებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ირაკლი კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარედ ყველაზე დიდი მოულოდნელობაა“

## სოსო ცისკარიშვილი: „თამარ ჩუგოშვილს ბევრად მეტი და წარმატებული ბიოგრაფია აქვს“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო სოსო, საერთაშორისო შეფასებების თანახმად, არჩევნებმა წარმატებით ჩაიარა. „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი. კულუარებში საუბრობენ იმის თაობაზე, რომ უმრავლესობის შიგნით სერიოზული კამათი მიდის საპარლამენტო თანამდებობებთან დაკავშირებით. როგორია თქვენი შეფასებები?***

– როდესაც ვსაუბრობთ პარლამენტის ამა თუ იმ წევრზე, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს, ვინ არის თითოეული მათგანის რეკომენდატორი, ვისი არჩევანით ხდებიან ეს ადამიანები პარლამენტის წევრები.

***– ვისი?***

– ასეთი ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის. ისევ რჩება განცდა იმისა, რომ ძირითადი საკადრო ცვლილებები ხელდასმულია ჩვენი ქვეყნის კადრებთუხუცესის მიერ. ჩვენ უკვე მოვისმინეთ ამა თუ იმ კომიტეტის სავარაუდო ხელმძღვანელები. გულწრფელად მინდა ვუსურვო წარმატება თითოეულ მათგანს, მაგრამ, ვინ იქნება გარანტი იმისა, რომ ეს ახალი სახეები იქნებიან მხარდაჭერილნი თავად პარლამენტარების მიერ?!

***– ფიქრობთ, რომ წინააღმდეგნი წავლენ?***

– იქნება ქვეცნობიერი შეუთავსებლობა ახალსა და ძველ სახეებს შორის. ისინი ერთიანნი არიან მხოლოდ განცხადებებისას, რომელთაც აჟღერებენ იქიდან გამომდინარე, თუ რა დავალებას იღებენ გუნდური შეხვედრების დროს. ყველაზე დიდი მოულოდნელობა, რასაკვირველია, გახლავთ ბატონი კობახიძის კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე.

***– რატომ არის მოულოდნელი?***

– გამომდინარე მისი პროფესიული გამოცდილებიდან. ერთია, იყო წარმატებული კონსტიტუციონალისტი და მეორეა, იყო ქვეყანაში მეორე პირი, რომელსაც მუდმივად გამადიდებელი შუშით აკვირდება არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება, არამედ ჩვენი მტერიც და მოყვარეც. უკეთესი იქნებოდა, მას საპარლამენტო საქმიანობის ერთწლიანი გამოცდილება მაინც ჰქონოდა და შემდგომ შესდგომოდა ამ მძიმე აღმართს, მით უმეტეს, რომ მისი ყველა ნაბიჯი შედარებული იქნება დავით უსუფაშვილის კომპეტენციასთან.

***– „ქართული ოცნების“ გუნდიდან თქვენ ვის მოიაზრებდით ამ თანამდებობაზე?***

– გამიჭირდება ამის თქმა. ალბათ, ეს უნდა ყოფილიყო კარგი იურისტი, თუმცა, იმასთან შედარებით, რასაც ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარედ გვთავაზობენ, აქ უკვე აღარ არის რაიმე კითხვები – რატომ არის ბატონი ირაკლი კობახიძე მოაზრებული პარლამენტის თავმჯდომარედ.

***– ძირითადად ორი კანდიდატურა სახელდებოდა კობახიძის გარდა, გია ვოლსკისა და თამარ ჩუგოშვილის.***

– ქალბატონ ჩუგოშვილს ბევრად მეტი და წარმატებული ბიოგრაფია გააჩნია. მე ვგულისხმობ მის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელობის პერიოდს, ასევე ევროპული ინტეგრაციის პროცესებში მის ჩართულობას. მან პოპულარობა თავად მოიპოვა, საკუთარი თავით გაპოპულარებულა და არა რომელიმე კერძო პირის მიერ.

***– თქვენ რას უსვამთ ხაზს, რომ ირაკლი კობახიძე ხელოვნურად შექმნეს პოპულარულ ჩინოვნიკად?***

– სწორედ რომ შექმნეს. ის გახლდათ მაღალი პერსპექტივის მქონე კონსტიტუციონალისტი. ის არ ყოფილა ხელმძღვანელი პირი და ასეთი მაღალი სახელმწიფო თანამდებობის მისთვის ჩაბარება ცოტა უცნაურია. ალბათ, თავადაც დაბნეულია. ჩემთვის ერთ-ერთი დამამშვიდებელი ფაქტორი გახლავთ ბატონი ირაკლის ღირსეული მშობლები, მისი მამა. თუ იგი ისურვებს, გაუწიოს კონსულტაცია საკუთარ შვილს, მაშინ შედეგი ბევრად უკეთესი გვექნება.

***– ხაზს უსვამთ კობახიძის კარგ კონსტიტუციონალისტობას. კონსტიტუციურ ცვლილებებზე აქტიურად საუბრობენ. რამდენად წაადგება ირაკლი კობახიძის გამოცდილება ჩვენს კონსტიტუციას?***

– ყველაფერი შედარებითია. მას გააჩნია სტატიები, შეფასებები ჩვენი კონსტიტუციის შესახებ, ჯერ კიდევ 2012 წლამდე. ცხადია, როცა ახალგაზრდა, კომპეტენტური პირი, საკუთარ საქმიანობაში შემჩნევადი და დამახსოვრებადია, ეს გარკვეულ სიმპათიებს იწვევს, თუმცა, ის უკანასკნელი თვეები, რომლებიც მან გაატარა თითქოსდა პრესსპიკერის ფუნქციით, მის პროფესიულ კომპონენტს ვნებდა.



***– საუბრისას საპარლამენტო კომიტეტების სავარაუდო ხელმძღვანელები არც ისე კარგად მოიხსენიეთ. რატომ?***

– აქ კმაყოფილების მომგვრელია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება ბატონი აკაკი ზოიძე, რომელიც გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით. ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება იმ რეფორმებისთვის, რომლებიც ჯანდაცვის კუთხითაა დაგეგმილი.

ძალიან მაინტერესებს, რა დამსახურება აქვს ქართული დიპლომატიის მიმართ მშვენიერ ქალბატონს, სოფიო ქაცარავას, რომელიც იქნება საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე?! რომელსაც მოუწევს საქმიანობა თედო ჯაფარიძის მიერ გაკვალულ შედეგიან გზაზე! ძალიან საინტერესოა, ვინ იყო მათი რეკომენდატორი და რა დიპლომატიური წარსული აქვს ამ ქალბატონს!

***– გვესმის შეფასებები, რომ მინისტრთა კაბინეტიც გადახალისდება. იქნებიან ახალი სახეები. რა მოლოდინი გაქვთ?***

– კიდევ კარგი, ისე არ გამოვშტერებულვართ, რომ ვინმეს ეფიქრა გიორგი კვირიკაშვილის შეცვლა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. ეს საუკეთესო მონაგარია „ქართული ოცნების“ საკადრო სივრცეში.

ძალიან მაინტერესებს, რა ნიშნით გახდება ბიზნესომბუდსმენი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი?! იმიტომ კი არა, რომ რაიმე ნეგატიური დამოკიდებულება მაქვს მის მიმართ, არამედ ვერ ვიხსენებ ვერცერთ სერიოზულ თემას, რომელშიც ბატონი ბიზნესომბუდსმენი იყო აქტიური. კი, ნიჭიერი ეკონომისტია, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი სამინისტროს ხელმძღვანელობას უფრო პროფესიონალი კადრი სჭირდება.

***– ბატონო სოსო, როგორი ოთხი წელი გველის წინ?***

– ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორი დემოკრატიული შეხედულებების მიმანიშნებელი იქნება დღევანდელი პარლამენტი. საუბრები კონსტიტუციურ ცვლილებებზე იქნება ის პირველი ლაკმუსი, რომელიც მიგვანიშნებს – ახალი ხელისუფლება იღვწის ქვეყნის მომავლისთვის თუ საკუთარი ახირებული იდეების დასამკვიდრებლად.

პოლიტიკურად ნეიტრალური საზოგადოება უნდა გააქტიურდეს, რომ მომავალი ოთხი წელიც ისე არ გავფლანგოთ, როგორც წინა ოთხი წელი და კვლავ ერთმანეთის ლანძღვაგინებაში არ გაატარონ საპარლამენტო წლები ნაციონალურმა მოძრაობამ და „ქართულმა ოცნებამ“. შესაძლოა, ეს ვინმესთვის მისაღებია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ვერ ვიზიარებთ ჩერჩილის დანაბარებს: „როდესაც იწყება კამათი აწმყოსა და წარსულს შორის, აღმოვაჩენთ, რომ დავკარგეთ მომავალი“.

თუ მხოლოდ ერთმანეთისკენ თითის გაშვერა, ერთმანეთის მიუღებლობა დამკვიდრდება ახალ პარლამენტშიც, ჩავთვალოთ, რომ ჩვენი ქვეყნის პოზიტიური პერსპექტივის დასამკვიდრებლად კიდევ ოთხ წელიწადს დავკარგავთ.

# ხათუნა ლაგაზიძე: „უგულავას აქვს ამბიცია, რომ სააკაშვილი ჩაანაცვლოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა მანამდე იქნება პოლიტიკურ ავანსცენაზე მეორე ძალის სტატუსით, სანამ ახალი პროდასავლური ძალა არ გამოჩნდება ქვეყანაში.**

***– ქალბატონო ხათუნა, გიგი უგულავას მიერ გამოქვეყნებული წერილი პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილის პასუხი არის თუ არა ღია დაპირისპირება ამ ორ ლიდერს შორის?***

– აშკარაა, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ღია დაპირისპირებაა. გუნდიდან სააკაშვილის გაშვება ნაციონალურ მოძრაობას, ფაქტობრივად, უქადის იმ ტიპის პოლიტიკურ გუნდად ფორმირებას, როგორიც ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არიან რესპუბლიკელები, ახალი მემარჯვენეები, თავისუფალი დემოკრატები და ა.შ. ეს იქნება პარტია პროფესიონალთა, ინტელექტუალთა, მაგრამ არაკონკურენტუნარიანი პოლიტიკური ძალა, თუნდაც ისეთი, როგორიც დღეს არის.

***– რატომ?***

– ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ქარიზმატული ლიდერი დღემდე მოთხოვნადია. ნაციონალური მოძრაობა გადარჩენისთვის იბრძვის და ეს ფაქტია. ამისთვის მას აუცილებლად დასჭირდება ქარიზმატული ლიდერი, მსხვილმასშტაბიანი მოთამაშე. მხოლოდ პოლიტიკური, ინტელექტუალური გუნდი ამას ვერ შეძლებს. ეს დადასტურდა თუნდაც ამ არჩევნებზე, როდესაც ფაქტი გახდა, რომ ინტელექტუალურმა პოლიტიკურმა გუნდებმა თავიანთი რესურსი ამოწურეს. ამიტომ სააკაშვილის გაწევა პარტიიდან გამოიწვევს ახალი ქარიზმატული ლიდერის შემოსვლის აუცილებლობას ან ძველი ლიდერის რეინკარნაციას.




***– რას გულისხმობთ ძველი ლიდერის რეინკარნაციაში?***

– ქარიზმატული ლიდერის პოზიციაზე პრეტენზიას თავისუფლებაზე მყოფი ნაციონალური მოძრაობის წევრები ვერ გამოთქვამენ. ამ მასშტაბის რესურსი მათ არ აქვთ.

***– ანუ სააკაშვილს ვერ ჩაანაცვლებენ?***

– დიახ, ვერ ჩაანაცვლებენ. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ეს პრეტენზია სწორედ მათ ჰქონდეთ, რომლებიც სასჯელს იხდიან. როგორც ჩანს, ასეთი ტიპის ლიდერის ძებნა ნაციონალური მოძრაობის ნაწილმა დაიწყო სწორედ მათ შორის, რომლებიც დღეს თავისუფლებაზე არ არიან. გასაგებია, რომ მათ ასეთი ამბიცია აქვთ. სწორედ ამას ადასტურებს გიგი უგულავას წერილი, რომელიც მან გამოაქვეყნა. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ მას სურს, იყოს აქტუალური გუნდში, პარტიაში. უგულავას აქვს ამბიცია, სააკაშვილი ჩაანაცვლოს.

***– ალბათ, მით უფრო, იმ ფონზე, როდესაც ის თავისუფლებაზე კი არ არის ან ქვეყნიდან წასული კი არ არის, არამედ გისოსებს მიღმაა და სასჯელს იხდის.***

– დიახ, უგულავას უნდა, რომ იყოს აქტიური და პროცესებში უფრო ფართოდ ჩაერთოს, არ იყოს პროცესებს მოწყვეტილი. ძირითადი, რაზეც ის საუბრობს თუნდაც თავის წერილში, არის ის, რომ ახალი თავმჯდომარეა ასარჩევი.

უგულავას მთავარი ხაზი არის ის, რომ პარტიის წარუმატებლობის მიზეზი სააკაშვილია, სააკაშვილი კი ხელს იშვერს იმ ლიდერებისკენ, რომლებიც პარტიას ბოლო სამი წლის განმავლობაში მართავდნენ.

რამდენიმე მოცემულობა იკვეთება: ერთი ის, რომ მიხეილ სააკაშვილი დისტანცირებულად პროცესებს ვერ მართავს და მას მართვის სადავეები გაექცა. ის ქვეყნის გარეთ არის და ქვეყნის შიგნით მყოფ ლიდერებს, ლოგიკურია, გაუჩნდეთ ამბიცია, რომ მართონ პროცესები. მეორე – ნაციონალური მოძრაობა დღეს პრობლემის წინაშე დგას და ეს არის ლიდერის პრობლემა, ვინ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ანზორ აბრალავა: „უსუფაშვილი ვერც პოლიტიკურ ცენტრს შექმნის და ვერც დაცენტრილ ორგანიზაციას“

მარიამ მჭედლიშვილი

**ხელისუფლება და მისი დეპუტატობის კანდიდატები კმაყოფილნი არიან არჩევნებში მიღწეული დიდი წარმატებით. საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში კი უკმაყოფილებაა. ხალხს აწუხებს ბევრი პრობლემა, ლარის დევალვაციით დაწყებული, საქართველოს მოქალაქეების მიმართ გამოჩენილი ძალადობით დამთავრებული. ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ეს პრობლემები დროებითია.**




**ანზორ აბრალავა:**

— დარწმუნებული ვარ, ლარი ძველ ნიშნულს დაუბრუნდება და მომავალში სიმტკიცეს შეინარჩუნებს. ეს დროებითი მოვლენაა. საზოგადოებას ყოველთვის ექნება სამართლიანი მოთხოვნები და ხელისუფლებამ, რომელმაც მოსახლეობაზე პასუხისმგებლობა აიღო, ყველაფერს უნდა მიხედოს. ხელისუფლებას ამისთვის უნდა ჰქონდეს პროგრამები. მან უნდა მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები.

***— იმ მოქალაქეების უფლებები ვინ უნდა დაიცვას, რომლებსაც ჩინური კომპანიის ხელმძღვანელები ჩაგრავენ?***

— რა თქმა უნდა, ხელისუფლებამაც და პროფკავშირებმაც. ამით დაკავებული უნდა იყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, რომლებსაც ადამიანის უფლებების დაცვა ეხებათ. შრომით დავებში ტონის მიმცემი უნდა იყოს პროფკავშირები.

ჩვენთან პროფკავშირებისა და შრომის ინსპექციის ეფექტიანობაზე საუბარი ზედმეტია. არადა, მათ ევალებათ მუდმივი აქტიურობა, მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვა, მავნე პირობების აღმოფხვრა, როგორც ეს ევროპის სახელმწიფოებშია. პროფკავშირებმა ეს უნდა გააკეთონ როგორც დარგობრივ, ისე გაერთიანებულ ჭრილში. იმ არასამთავრობოების გამკვირვებია, რომლებიც სხვა ყველა საკითხზე, განსაკუთრებით პოლიტიკურ სკანდალებზე რეაგირებენ! ამაზე ისინი ჩუმად არიან. პროფკავშირების გაერთიანება საქართველოში პოლიტიკის ნაწილად იქცა. პროფკავშირები თავიანთ ფუნქციას არ ასრულებენ.

***— მოქალაქეების პრობლემებით აღარც ოპოზიციაა დაკავებული. პოლიტიკური სპექტრი განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.***

— ამ არჩევნებმა ბევრ რამეს ახადა ფარდა. ზოგმა პარტია დატოვა და აცხადებს, მაინც პოლიტიკაში ვარო. ასეთი განცხადებები გაუგებარია. ასე პოლიტიკაში ვართ ყველანი, ვისაც ქვეყანაზე გული შეგვტკივა და ჩვენს მოსაზრებებსაც გამოვთქვამთ იქ, სადაც ამის საშუალება გვეძლევა, თუმცა ტელემედიის უმრავლესობაში შეზღუდვებია და ტრიბუნა ერთსა და იმავე ხალხს ეთმობა.

არჩევნების შემდეგ მთელი რიგი პოლიტიკოსები და პარტიები არანაირ ნიშას აღარ იკავებენ. პოლიტიკური ველი ბალასტისგან თავისუფლდება. ამ არჩევნებში ის პარტიები, რომლებიც ადრე ძირითადად გარიგებებსა თვალთმაქცობაში იყვნენ შემჩნეული, საკუთარი სახელით, დამოუკიდებლად გამოვიდნენ და სასტიკად დამარცხდნენ.

***— ყველა დამარცხებული პოლიტიკიდან არ მიდის. საუბარია ახალი გაერთიანებების შექმნაზე.***

— ეს საუბრები საუბრებად დარჩება. ასეთი გეგმები აქვს დავით უსუფაშვილს. მან ახსენა პოლიტიკური კრიზისი. ეს აბსურდია. ქვეყანაში არანაირი პოლიტიკური კრიზისი არაა. მას, კორექტულობიდან გამომდინარე, პოლიტიკური კრიზისი საერთოდ არ უნდა ეხსენებინა.

პოლიტიკური კრიზისი დაუდგა რესპუბლიკურ პარტიას და პირადად დავით უსუფაშვილს. ისინი ამ საპარლამენტო არჩევნებში ხურჯინივით ვერავის აეკიდნენ. უსუფაშვილის პარტიიდან წასვლა უპასუხისმგებლობაა.

რესპუბლიკელებში ყველაზე მძიმე წარსული ამ პარტიის დამფუძნებლებს აქვთ.

ისინი იყვნენ სამხედრო საბჭოში, სახელმწიფო საბჭოში, სააკაშვილის გვერდით, დაკავებული იყვნენ „კმარას“ წევრების აღზრდით. წესით, უსუფაშვილს პრეტენზიები ადრევე უნდა ჰქონოდა იმ რესპუბლიკელებთან, რომლებიც 35 წელიწადია, ქვეყნის წინააღმდეგ გამოდიან. ეს პარტია იყო ყველა მძიმე პოლიტიკური პროცესის მონაწილე. მისი ლიდერები ყველაფერ ცუდს ამართლებდნენ. ბოლო წლების პროცესებში თავად უსუფაშვილიც მონაწილეობდა. აქამდე იგი ამ პარტიაში კარგად გრძნობდა თავს. ამიტომ მისი წასვლა უპასუხისმგებლო ნაბიჯია.

***— მას მომავალი პოლიტიკური ცენტრის ლიდერად მოიაზრებენ.***

— უსუფაშვილი ვერც პოლიტიკურ ცენტრს შექმნის და ვერც დაცენტრილ ორგანიზაციას. მან ვერ გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა და ვერ გათვალა, რით დამთავრდებოდა ეს არჩევნები მისი პარტიისთვის. იმ პოლიტიკოსების ბედი, რომლებმაც არჩევნებში კრახი განიცადეს, გადაწყვეტილია. ისინი, როგორც არ უნდა დაჯგუფდნენ და რა სახელიც არ უნდა დაირქვან, წასული არიან პოლიტიკიდან, ამიტომ, ჯობია, თავიანთ პროფესიულ საქმიანობას დაუბრუნდნენ.

ჰიტლერს რომ შეექმნა ახალი, მაგალითად, დემოკრატიული პარტია, ის სახეს იცვლიდა? ამათი ტრანსფორმაციაც არ იქნება. მხოლოდ იმას კი არ უნდა მივუგდოთ ყური, რას ლაპარაკობენ, მთავარია, ვინ ლაპარაკობს.

***— არსებობს აზრი, რომ ახალი რეიტინგული ძალის ჩამოყალიბებას შეძლებენ პოლიტიკაში გაუსვრელი ადამიანები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში აქტიურ პოლიტიკაში არ ყოფილან.***

— პოლიტიკაში ნამდვილად უნდა იყვნენ სუფთა წარსულის მქონე ადამიანები, მაგრამ ეს არ კმარა. წესიერებასთან ერთად, საჭიროა ახალი იდეები. ახალი იდეები მხოლოდ ახალგაზრდების პრეროგატივა არ არის. დენ სიაოპინი 82 წლის იყო, რეფორმები რომ დაიწყო. ვაჟა-ფშაველას, სიტყვებით, განა ყველა რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?!

# ხათუნა ლაგაზიძე: „უგულავას აქვს ამბიცია, რომ სააკაშვილი ჩაანაცვლოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

იქნება ლიდერი?! სააკაშვილი თავისთავად ნაციონალური მოძრაობის განახლების შემაფერხებელი ფაქტორია.

***— გიგი უგულავა შეძლებს მიხეილ სააკაშვილის ჩანაცვლებას?***

— რთული სათქმელია, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზეც, მოიპოვებს ის თავისუფლებას მომდევნო არჩევნებამდე? ან როგორ შეძლებს ის რეაბილიტაციას საზოგადოების თვალში. ნაციონალური მოძრაობა, გახლეჩისა და სააკაშვილის ჩამოშორების შემთხვევაში, დიდი შანსია, გადაიქცეს ჩვეულებრივ კონფორმისტულ, კლუბის ტიპის უპერსპექტივო პარტიად. ამ მიმართულებით ნაციონალური მოძრაობა სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. მას აქვს არა კარგსა და ცუდს შორის არჩევანი, არამედ — ცუდსა და უარესს შორის.

***— მთელ ამ პროცესში ბოკერიას ფაქტორი როგორი შეიძლება იყოს? ჩანს, რომ ის არის სააკაშვილთან დაპირისპირებულ გუნდში.***

— რთული სათქმელია, მაგრამ, სააკაშვილთან გამიჯვნის შემთხვევაში, რაღაც ეტაპზე მაინც ყველაზე გავლენიანი ფიგურა სწორედ გიგა ბოკერია იქნება ნაციონალურ მოძრაობაში. მანამ, სანამ ქარიზმატული ლიდერი გამოჩნდება გუნდში, კიდევ ერთ არაფორმალურ მმართველს მივიღებთ ბოკერიას სახით.

***— რატომ?***

— მისი გავლენა გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე მისი სტატუსი პარტიაში. პირველი პირი ვერ გახდება, არა იმიტომ, რომ ამის რესურსი არ აქვს პარტიაში, არამედ იმიტომ, რომ მას არ აქვს ის რესურსი, რომ ის გახდეს საზოგადოებისთვის მისაღები ფიგურა, კრიტიკულად განწყობილი მასისთვის მისაღები ფიგურა, რომელიც საჭიროა თუნდაც ელემენტარული ბარიერის გადასალახად.

***— 2020 წლისთვის ნაციონალური მოძრაობა უფრო ძლიერი იქნება თუ უფრო სუსტი? თუ 8 ოქტომბრის არჩევნები იყო მისი ბოლო შანსი, 27 მანდატი, რომელიც მან მიიღო?***

— ეს რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. მთავარ ფაქტორზე უკვე ვისაუბრეთ, რომელიც ლიდერის საკითხს უკავშირდება, მაგრამ მეორე მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი ფაქტორი არის ის, გამოჩნდება თუ არა ახალი, კონკურენტუნარიანი, ძლიერი, დასავლური ტიპის პოლიტიკური ძალა. თუ ასეთი პოლიტიკური ძალა არ გამოჩნდება, მაშინ ნაციონალურ მოძრაობას კიდევ ექნება შანსი, გაიხანგრძლივოს პოლიტიკური კარიერა და იყოს მეორე ძალა, მაგრამ, მე ვფიქრობ, ადგილობრივი არჩევნებისთვის მაინც გამოიკვეთება ახალი პოლიტიკური ძალა, ყოველ შემთხვევაში, ჩანასახი მაინც, რომელიც კონკურენციას გაუწევს ნაციონალურ მოძრაობას და მეორე ძალის სტატუსს ჩამოართმევს.

**მიხეილ სააკაშვილი დისტანცირებულად პროცესებს ვერ მართავს და მას მართვის სადავეები გაექცა. ის ქვეყნის გარეთ არის და ქვეყნის შიგნით მყოფ ლიდერებს, ლოგიკურია, რომ გაუჩნდეთ ამბიცია, მართონ პროცესები**

# ჯონდი ბაღათურია: „ჩინელებზე საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით უნდა აღძრულიყო“

**„ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, დასაქმებულის უფლებები დაიცვას“**

შორენა მარსაგიშვილი



რატომ არ იღებს პარლამენტი შრომის კანონს? რატომ არ იცავს ხელისუფლება დასაქმებულების ინტერესებს? რატომ დუმან სახალხო დამცველი და არასამთავრობოები? რაში მიუძღვის ბრალი საზოგადოებას? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრება.

ჯონდი ბაღათურია:

— ის, რაც 2-3 ნოემბერს მოხდა, ყველა ჩვენგანის ბრალია. ჩვენს ქვეყანაში დამქირავებლები, როგორც წესი, უსინდისოდ იქცევიან. უცხოელი დამქირავებლები კი ხშირად დანაშაულსაც სჩადიან. ზვარეს ინციდენტი არ არის გამონაკლისი. ჩინელი დამქირავებლები სხვა დროსაც გაუსწორდნენ ქართველ მუშებს ფიზიკურად.

რატომღაც უცხოელმა დამქირავებლებმა ჩათვალეს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ცუდად უნდა მოეპყრონ და ზოგჯერ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენონ. ეს პირველ რიგში არის ჩვენი მთავრობის დანაშაული, რომელიც ძალიან ლოიალურად რეაგირებს უცხოელების მიერ ჩადენილ დანაშაულზე.

***— ამ ლოიალობას რითი ხსნით?***

— იმით, რომ ჩვენს ხელისუფლებას უცხოეთიდან შემოსული ჩრდილისაც კი ეშინია. ძალიან კარგია, როცა ამ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორი შემოდის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყველაფერი ეპატიება. ამ ინვესტორებს ჩვენმა ხელისუფლებამ ნათლად უნდა განუმარტოს, რომ თუ ისინი საქართველოს მოქალაქეებზე ხელს აღმართავენ, კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან. სანამ ინვესტორებს ასეთი განცდა არ ექნებათ, მანამდე ყოველთვის იქნება ისეთი ინციდენტები, როგორიც ამ დღეებში ზვარეში მოხდა.

აქვე მინდა გავიხსენო ახლო წარსულში თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მომხდარი კონფლიქტი, რომელიც თურქეთის მოქალაქეებსა და არასრულწლოვან ქართველებს შორის მოხდა. სამართალდამცავებმა არასრულწლოვანები დააპატიმრეს და გაამტყუნეს. არავინ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კონფლიქტი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ იყო ინსპირირებული.

ასეთი ოპერატიულობა ჩინელების მიმართ არ გამოუჩენიათ, რომლებიც ქართველ მუშებს ნაჯახებით და არმატურებით გაუსწორდნენ.

***— იმათ წინააღმდეგაც ხომ აღიძრა საქმე?***

— საქმე ძალიან სასაცილო მუხლით აღიძრა. როგორ შეიძლება საქმე ცემის მუხლით აღძრა, როცა ადამიანებს ნაჯახით და რკინის ნაჭრებით გაუსწორდნენ. ყველა მათგანს ჭრილობები თავის არეში აქვს მიყენებული. ამ შემთხვევაში საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით უნდა აღძრულიყო.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ადგილი მკვლელობის მცდელობას ჰქონდა?***

— ფაქტია, რომ ამ ადამიანებს ჭრილობები თავის არეში აქვთ მიყენებული და, აქედან გამომდინარე, საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით უნდა აღიძრას. გამოძიებით შესაძლოა დადგინდეს, რომ დაზარალებულებს თავში შემთხვევით მოარტყეს, მაშინ შეიძლება მუხლის გადაკვალიფიცირება. ცემის მუხლით საქმის აღძვრა ჩვენი სახელმწიფოს სისუსტეზე მიუთითებს.

ზვარეში მომხდარ ინციდენტს საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. გაჩნდა ასეთი მოსაზრება, რომ ჩინეთის საელჩოსთან აქცია გაიმართოს. ამას მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები და ყველას ვთხოვ, ასეთი აქციებისგან თავი შეიკავოს.

***— ჩინეთის საელჩოსთან აქციის გამართვას რატომ ეწინააღმდეგებით?***

— იმიტომ, რომ აქ ჩინეთის საელჩო არაფერ შუაში არ არის. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჩვენს უთავმოყვარეო სახელმწიფოს ეკისრება, რომელიც ამაზე არ რეაგირებს. ანტიჩინური და ანტითურქული განწყობების გაღვივების ნაცვლად, ისეთი სახელმწიფოს შექმნაზე ვიზრუნოთ, სადაც კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება ყველა, ვინც საქართველოს მოქალაქეზე ხელს აღმართავს.

***— ისე, ქართველი დამსაქმებლებიც ხომ სცემენ საქართველოს მოქალაქეებს?***

— სამწუხაროდ, ასეთი რამეებიც ხდება და ამაზეც ძალიან მკაცრი რეაგირება უნდა იყოს. ახლა თუ ეს ჩინელები მკაცრად დაისჯებიან, სხვა მსგავსი სისასტიკის ჩადენას ვეღარ გაბედავს.

ამ საქმეს ბოლომდე ჩავყვები და

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ტარიელ ფუტკარაძე: „მუსლიმანური თემით მანიპულირება რუსეთისთვის ხელსაყრელია“

გულიკო ბალაძე

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი" სახელმწიფოს ადანაშაულებს და ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მუსლიმი თემის საინიციატივო ჯგუფის სახელით სახალხო დამცველს მიმართავს.**

ორგანიზაციის განცხადებით, მუსლიმ თემს უძრავი ქონების გადაცემაზე უარი უთხრეს და ადგილი აქვს დისკრიმინაციას. ამიტომ სახალხო დამცველს კანონით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენებისა და რეკომენდაციის გაცემისკენ მოუწოდებს.

მათი თქმით, ახალი მეჩეთის საჭიროების საკითხი აღიარებულია თავად სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

დაინტერესებულ მხარეს ამ საკითხში ჩართული ჰყავს ასევე „რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ“ ევროპული კომისია.

– ევროპული კომისია საუბრობს მეჩეთის საჭიროებაზე, თუმცა, გაურკვეველი მიზეზებით, ის მარგინალიზებულ პოზიციად რჩება. მასზე არ ზრუნავს სახელმწიფო, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია.

* * *

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ არავის აქვს დისკრიმინაციაზე საუბრის საფუძველი, რადგან ბევრი სამლოცველო და პანსიონია.

– ზუსტად ვიცი, ბათუმში იმდენი მუსლიმანი ნამდვილად არ ცხოვრობს, მასშტაბური სამლოცველო იყოს საჭირო. ყველა სოფელს თავისი სამლოცველო აქვს. შეუძლიათ, იქ ილოცონ, მაგრამ ვიღაც სპეციალურად აკეთებს ორგანიზებას, – ამბობს პროფესორი ფუტკარაძე.

***– როგორ?***

– ვიღაცას ბათუმში გააზრებულად ჩამოჰყავს ხალხი, რომ საქართველოს დისკრიმინაცია დააბრალონ და პრობლემები შეუქმნან.

***– ეტყობა, მუსლიმანური თემით მანიპულირებენ.***

– მუსლიმანური თემით მანიპულირება ხელს აძლევს უფრო არა თურქეთს, არამედ რუსეთს. ამით პრობლემას ქმნიან კეთილგანწყობილ თურქეთთან. ამიტომ ყველა მხარემ თავი უნდა შეიკავოს, რადგან მუსლიმანური თემის გააქტიურებით რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამენ წყალს.

***– მათი მიზანი რა არის?***

– მათი მიზანია, რუსეთი დააბრუნონ თავისად მიჩნეულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. მუსლიმანური თემის დისკრიმინაცია არსად ხდება. ინფორმაცია ღიაა და შეუძლია ნახოს, რამდენ სოფელშია მეჩეთი. თუ ასეა საქმე, დისკრიმინაცია საქართველოში დღეს ნამდვილად ხდება.

***– ვისი?***

– ძალიან შევიწროებულია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციები. არავინ ზრუნავს ქართულ ენაზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

ჩვენს გვაქვს ქართველთა დედა ენის გადარჩენის პრობლემა, როგორც საქართველოს საზღვრებს გარეთ, ვთქვათ, მეზობელ თურქეთში, ისე ზოგადად. ძალიან დიდი საფრთხე ექმნება იმ ენას, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებზე არ იქნება ორიენტირებული.

***– 1988-90-იან წლებში აჭარის გაათეისტებული ქართველობა მასობრივად ქრისტიანდებოდა. შემდეგ შეიცვალა სიტუაცია. თქვენ რა მიზეზებს ხედავთ, რატომ არიან დაინტერესებული გამუსლიმანებითა და სამლოცველოების გახსნით?***

– ადგილობრივ მოსახლეობას გულისხმობთ თუ გარე ძალებს?

***– ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ხომ არის ჩათრეული ამ პროცესში და ხომ აძახებინებენ, მეჩეთის გახსნა გვინდაო.***

– ჩემი აზრით, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი მართლა მუსლიმანია და, ბუნებრივია, მას ლოცვას არავინ უშლის. ვფიქრობ, აქ გარკვეული გარეშე ძალების ინტერესებია. მე შემიძლია დავასაბუთო გარეშე ძალების ინტერესები როგორც რუსეთის, ისე თურქეთის გარკვეული წრეების მხრიდან, თორემ, არა მგონია, თურქეთის ხელისუფლებას აწყობდეს საქართველოში ქართველი ერის გაღიზიანება მუსლიმანობის პროპაგანდით.

თუ საქართველოში მუსლიმანობის პროპაგანდა აქტიურად დაიწყო, საქართველოს მოსახლეობა თურქეთს ნამდვილად ზურგს შეაქცევს.

***– მაშინ, რა ინტერესები აქვთ?***

– მგონი, ამას ყველა ხდება. არსებობს გარკვეული წრეები თურქეთშიც და სხვაგანაც, რომლებსაც სურთ, პანკისში, მარნეულში, აჭარაში რადიკალური მუსლიმანობა გააააქტიურონ. არ გამოვრიცხავ, რუსეთში გარკვეული ძალები დაინტერესებული იყვნენ საქართველოში მუსლიმანობის გააქტიურებით, რომ ქართველი ერი გააღიზიანონ და ქართველები რუსეთისკენ შეაბრუნონ. არსებობენ ადამიანები, რომლებიც გარკვეულ დაფინანსებას იღებენ და ქართული ინტერესების დაცვისთვის კი არ იბრძვიან, ფულს აკეთებენ. ამის ფაქტები არსებობს – ცნობილია, რამხელა ქსელი ჰქონდა გიულენს საქართველოში. გიულენის დაფინანსებული ჯგუფები ჩემთვის ცნობილია.

***– რომელი ჯგუფები? ვინ წარმოადგენენ ამ ჯგუფებს?***

– არ მინდა მათი დასახელება. ჩემთვის ცნობილია, აჭარაში რომელ კონკრეტულ პირებს აფინანსებდნენ გიულენის ფონდი თუ გიულენის მხარდამჭერი ორგანიზაციები. რელიგიური ექსტრემიზმი საშიშია, მით უმეტეს, რომ დღეს ის მიმართულია ქვეყნისა და ერის ერთიანობის წინააღმდეგ. ადამიანს უნდა ჰქონდეს რელიგიის თავისუფლება. ვისაც უნდა, ილოცოს ქართულად, ვისაც უნდა, ილოცოს არაბულად. ეს მისი უფლებაა, მაგრამ, როდესაც რელიგიის თემა აქტიურდება და პოლიტიკის სახეს იძენს, უკვე საშიშია.



„საქართველოსა და თურქეთის დაპირისპირება თურქეთს ხელს ნამდვილად არ აძლევს“

„იმედის“ გადაცემაში „ადამიანს უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ განცხადება გადიოდა. ვიდეორგოლში მოჩანდა ბათუმის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა, მლოცველებით სავსე. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მათგან 1% თუ იქნება საკუთრივ ბათუმელი. შეიძლება, ნაწილი თურქეთიდან გამოსული ტურისტია, შეიძლება, სოფლებიდან ან სხვა მხრიდან არიან ჩამოსული.

***– ხელოვნურად ქმნიან პიკურ სიტუაციას, თითქოს ბევრი მლოცველია?***

– დიახ, შეგნებულად გროვდება მლოცველთა დიდი რაოდენობა, გარკვეული მასა. სოფლებიდან ჩამოყვანილია ყველა მლოცველი. საკუთრივ ბათუმელი ძალიან ცოტა შეიძლება იყოს. სამლოცველო არის ხულოს, ქედისა და ხელვაჩაურის სოფლებში და იქ ილოცონ. რად უნდა მიტინგური ლოცვა? რამდენი ეკლესიაა, ვთქვათ, თბილისში და, ყველამ ერთად რომ შეიყაროს თავი სამებაში, იმაზე უარესი სიტუაცია იქნება, როგორც ბათუმში აჩვენეს. ყველამ თავისი უბნის ეკლესიაში ილოცოს.

საქართველოსა და თურქეთის დაპირისპირება თურქეთს ნამდვილად არ აწყობს. აწყობს რუსეთს. პროცესი გარედან ვისგან იმართება, ესეც საკითხავია.

– თუმცა, თურქეთის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებს ზოგჯერ აქვთ ისეთი განცხადებები, რომლებიც ნამდვილად გამაღიზიანებელია, მაგალითად, ერდოღანის განცხადება ბათუმის შესახებ.

– თურქეთში ოსმალისტური იმპერიის გავლენის ველზეა საუბარი და არა – ისლამისტურ მიმართულებაზე. აქ სხვადასხვა მიდგომაა საჭირო.

## „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ ჩინელების გამოშვებას ითხოვს

„ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი ზვარეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

– 2016 წლის 2 ნოემბერს ადგილი ჰქონდა მცირე კონფლიქტს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. დავის მიზეზი გახლდათ მოჭრილი მერქნული რესურსის მოსახლეობის მიერ უკანონო მითვისების ფაქტი.

ინციდენტი გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოჭრილი მერქნული რესურსი



ეკუთვნის გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო დეპარტამენტს და მის შენახვასა და გადაცემაზე პასუხისმგებელია ჩინური მხარე.

მომდევნო დღეს მოხდა კონფლიქტის ესკალაცია, რაც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. სამწუხაროდ, ორივე მხრიდან არიან დაზარალებულები.

მასობრივი მედიის საშუალებებით ვრცელდება მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაცია, თითქოს ჩინელმა მუშებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ქართველებს, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება როგორც ქართველ, ისე ჩინელ თანამშრომლებს.

კონფლიქტის ინიცირების შესახებ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ და დროულად მოახდენენ ყველა მონაწილე პირისგან ჩვენებების აღებას და მიუკერძოებლად ჩაატარებენ საგამოძიებო მოქმედებებს.

სანამ არ დადგინდება საქმეზე ჭეშმარიტება, კატეგორიულად მოვითხოვთ, გათავისუფლდნენ დაკავებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეები.

აღნიშნული ფაქტის შესახებ ეცნობა ჩინეთის საელჩოს. იმედს ვიტოვებთ, რომ გამოძიება ჩატარდება გამჭვირვალედ და სამართლიანად და ზემოხსენებული ინციდენტი გავლენას არ მოახდენს ჩვენი ქვეყნების მეგობრულ ურთიერთობებზე, – ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯონდი ბაღათურია: „ჩინელებზე საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით უნდა აღძრულიყო“

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

ყველაფერს გავაკონტროლებ. ეს ჩინელები საზოგადოებისთვის საშიში ადამიანები არიან და მათი ადგილი ციხეშია. ამათ კი საქმე ცემის მუხლით აღძრეს. წლების წინ 20 წლის ქართველი ახალგაზრდა დააკავეს და 10 წელი მიუსაჯეს იმისთვის, რომ 4 თურქს მუშტით სცემა. ციხეში გამოამწყვდიეს 4 შვილის დედაც, რომელმაც 3 ინდოელს სცემა. უხერხულია და უკანონობაა, როცა შენი ქვეყნის მოქალაქეებს ასე მკაცრად სჯი, უცხოელების ქმედებაზე კი თვალებს ხუჭავ.

ჩინური კომპანია, რომლის წარმომადგენლებმაც უკანონობა ჩაიდინეს, სულაც არ არის ინვესტორი. ეს კომპანია ასრულებს საქართველოს სახელმწიფოს დაკვეთას და ამ ქვეყნიდან ფული გააქვს.

***– როგორ მოხვდა ეს კომპანია საქართველოში?***

– მათ 2010 წელს გამართულ ტენდერში გაიმარჯვეს. ჯერ ისიც გაუგებარია, თუ რატომ მოიგო ტენდერი ჩინურმა კომპანიამ, როცა საქართველოში უამრავი კარგი სპეციალისტია.

***– თქვენ ხელისუფლება დაადანაშაულეთ იმაში, რომ ინვესტორების ქმედებები ხელისუფლების ლოალობით არის განპირობებული. საზოგადოებაზე რას იტყვით, იქნებ ჩვენი ბრალიც არის? საზოგადოებაც ხშირ შემთხვევაში ლოიალურად ხვდება ასეთ ფაქტებს.***

– ეს რომ ასე ხდება, ჩვენი ბრალიც არის, მაგრამ რაღაცას დავაზუსტებ. ჩვენი საზოგადოება მსგავსი ფაქტების მიმართ ლოიალური არ არის. უბრალოდ, მერე იოლად ივიწყებს. თუ გამოჩნდა ვინმე ორგანიზატორი, რომ ხალხი მარშრუტკებით გადაიყვანოს, გამოვლენ ქუჩაში, თუ არ გამოჩნდება, ფეისბუქით დაგიჭერენ მხარს.

ჩვენ რომ ნორმალური სახელმწიფო ვიყოთ, ზვარეს ინციდენტის შემდეგ მრავალათასიანი აქცია უნდა მოგვეწყო ან პარლამენტთან, ან შსსთან. უნდა მოგვეთხოვა დამნაშავეების დასჯა.

ძალიან მშურს ჩვენი მეზობელი სომხების და აზერბაიჯანელების. მათთან მათ მოქალაქეებს ასეთ რამეს ვერ გაუბედავენ. ალბათ ყველას ახსოვს, რა მოხდა სომხეთში, როცა რუსმა ჯარისკაცმა ოჯახი ამოწყვიტა. მთელი სომხეთი გარეთ იყო. ხალხი გარეთ ორგანიზატორების გარეშე გამოვიდა. მოგეხსენებათ, ერევანსა და მოსკოვს როგორი დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ სომხეთის მოქალაქეებმა რუსეთთან ლამის კავშირის გაწყვეტა მოითხოვეს, თუ ისინი დამნაშავეს არ დასჯიდნენ. აი, ამით გვჯობიან სომხები. ისინი იმ ქვეყნის განაწყენებას არ მოერიდნენ, რომელზეც თავიდან ბოლომდე არიან დამოკიდებული, ჩვენს ხელისუფლებას კი ნებისმიერი ლანდის ეშინია, თუ ის უცხოეთიდან მოდის.

მივმართავ საზოგადოებას, ვიყოთ შეურიგებლები ყველა ასეთი ფაქტის მიმართ. ხელისუფლება ვაიძულოთ, რომ ნებისმიერი დამნაშავე კანონის სრული სიმკაცრით დასაჯოს.

***– არასამთავრობოების რეაქციები სათანადო იყო?***

– არც არასამთავრობოებს და არც სახალხო დამცველს სათანადო რეაქცია არ ჰქონიათ. უჩა ნანუაშვილი მარტო სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევაზე რეაგირებს და რომელიმე მათგანს სურდო რომ დაემართოს, ჩვენს არატოლერანტულობას აბრალებს. სამაგიეროდ, ქართველი დასაქმებულების უფლებების დარღვევას არ იმჩნევს.

ის არც იმაზე იღებს ხმას, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის კოდექსი. ხმას არ იღებს, როცა ირღვევა დასაქმებულების უფლებები. უნდა ნახოთ, რა ხდება აფთიაქებში და საბანკო სექტორში. აქ განსაკუთრებით ქალების უფლებები ირღვევა.

***– შრომის კოდექსზე ნანუაშვილმა რა უნდა ქნას, ეს კანონი ხომ პარლამენტმა უნდა მიიღოს?***

– პარლამენტი ამ კანონს არ მიიღებს, რადგან დეპუტატებად ძირითადად მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები არიან. მათ რაში აწყობთ ისეთი კანონის მიღება, რომელიც დასაქმებულის უფლებებს დაიცავს. ამიტომ უნდა დავდგეთ ერთად და ვაიძულოთ ხელისუფლება, დაიცვას დასაქმებულის უფლებები.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია



# ტექნიკის მაღაზიები: გაყიდვების შემცირება ლარის კურსის ბრალია

## „კურსის ასეთი რყევა ბიზნესისთვის დამღუპველი იქნება“

ტექნიკის მაღაზიები კრიზისში არიან, ზოგიერთი მათგანი კი ბაზრიდან გადის. „კომერსანტის“ მიერ გამოკითხული კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სიტუაცია მძიმეა, თუმცა იმედოვნებენ, რომ წინასაახალწლოდ ვითარება რადიკალურად შეიცვლება.

რამდენიმე დღის წინ „ტექნო ბუმის“ დამფუძნებელმა ანზორ ქოქოლაძემ „კომერსანტთან“ რეალიზაციის შემცირებულ მაჩვენებელზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ მხრივ არცთუ სახარბიელო სიტუაციაა.

მისი თქმით, ზოგადად, ბაზრის ზრდა არ ფიქსირდება და კომპანია გაყიდვების სტიმულირებას პერიოდული აქციებით ცდილობს.

ქოქოლაძე ამბობს, რომ ტექნიკის ბაზარზე სიტუაცია ზოგადად მძიმეა.

— ბაზარია შემცირებული და ამის მიზეზი ლარის გაუფასურებაა. მეორე მიზეზი ქვეყანაში ფულადი შემოდინებების შემცირებაა. მოსახლეობაში ნაკლები ფული, — აცხადებს ქოქოლაძე.

მისი თქმით, დროებით დაპაუზებულია საინვესტიციო გეგმაც, რომელიც დიღომში „თეგეტა მოტორსის“ ოფისის გვერდით დიდი ჰიპერმარკეტის მშენებლობას გულისხმობდა.

ქოქოლაძე განმარტავს, რომ ამ დროისთვის კომპანია პროექტისთვის ინვესტორს ეძებს.

ტექნიკის კომპანია „ჯორჯიან მობაილ იმპორტის“ დამფუძნებელი ჭიჭიკო გოლეთიანი აცხადებს, რომ მისი კომპანია მაიკროსოფტის, ნოკიას, ლენოვოსა და მოტოროლას პარტნიორია. მისი თქმით, კომპანიას საცალო ქსელში რამდენიმე მაღაზია აქვს. როგორც გოლეთიანი განმარტავს, როდესაც სავალუტო კურსები რყევებს განიცდის 5-7 პუნქტით, იმპორტიორებისთვის ეს დამღუპველია.

— როდესაც თვის დასაწყისში არის კურსი 2.30 და თვის ბოლოს 2.38 ნიშნულზეა, უნდა ჩავთვალოთ, რომ მაღაზიამ ვერაფერი მოიგო და დაიხურა. ამის მიზეზი არის ის, რომ კომპანიას ამ დროს აქვს ვალები როგორც მომწოდებლის, ისე საბანკო სექტორის. იგივე პრობლემები აქვს ტექნიკის ბაზარზე წარმოდგენილ თითქმის ყველა ბრენდს, ბევრი ორგანიზაცია გაკოტრდა ან გაკოტრების პირას მივიდა. ასეთი რყევები დამღუპველი იქნება ბიზნესისთვის, — აცხადებს გოლეთიანი.

ტექნიკის მაღაზიათა ქსელი „გრანდ ელექტრონიქსის კომერციული მენეჯერი გიორგი ჭედია ამბობს, რომ კომპანია წინასაახალწლო აქტივობისთვის ემზადება. შედეგად, კომპანია იმედოვნებს, რომ გაყიდვები გაიზრდება. რაც შეეხება მიმდინარე პერიოდს, გაყიდვები, გასული წლისგან განსხვავებით, 20 პროცენტით გაზრდილია, თუმცა, ეს ასორტიმენტის გაზრდით არის განპირობებული.

ჭედიას თქმით, რომ არა კომპანიის მსგავსი ტიპის აქტივობა, „გრანდ ელექტრონიქსიც“ რთულ სიტუაციაში იქნებოდა. მისი განმარტებით, გაყიდვების შემცირება ლარის კურსის შემცირებამ გამოიწვია. გარდა ამისა, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა.

ტექნიკის მაღაზია „არაი თუმოროუში“ ამბობენ, რომ მონაცემები კონფიდენციალურია, თუმცა, აცხადებენ, რომ, გასული წლისაგან განსხვავებით, კომპანიას გაყიდვები შეუმცირდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ „გოუ ელექტრონიქსი“ ბაზრიდან 1 წელია გავიდა.

* * *

განსხვავებული ვითარებაა საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიათა ქსელ „ელიტ ელექტრონიქსში“.

იქ ამბობენ, რომ ბაზარი სტაბილურია და თვიდან თვემდე გაყიდვებიც იზრდება.

— ჩვენ მიმდინარე წელს საკმაოდ დიდი ინვესტიციები განახორციელეთ, მაღაზიათა ქსელის გაფართოების კუთხით. გავხსენით ორი ახალი კონცეფციის მაღაზია ბათუმსა და გლდანში. ბათუმში „ელიტ ელექტრონიქსმა“ გახსნა ყველაზე დიდი ტექნიკის მაღაზია, სადაც განთავსებულია მსოფლიოს წამყვანი ბრენდების შოურუმები, — აცხადებენ კომპანიაში.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# საქართველოს ეროვნული ბანკი მოსახლეობას აფრთხილებს




საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ აფრთხილებს მოსახლეობას, საკუთარი თანხების დაბანდებამდე, მათი დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე.

როგორც ეროვნული ბანკის ინფორმაციაშია ნათქვამი, საქართველოს ეროვნული ბანკი სახსრების განთავსების რისკებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2013 წლიდან აფრთხილებდა მოქალაქეებს (2013, 2016), რომ ის საფინანსო კომპანიები, რომელთა საქმიანობა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ კონტროლდება ეროვნული ბანკის მიერ, შესაძლოა, ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს საკმაოდ რისკიან აქტივებსა თუ ბიზნეს საქმიანობაში აბანდებენ.

როგორც ბანკში განმარტავენ, რიგ შემთხვევაში მათი საქმიანობა ფინანსური პირამიდის ნიშნებსაც ატარებს.

ეროვნული ბანკის მიერ, მთავრობასთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სხვა პრობლემურ საკითხთან ერთად, აღნიშნული საკითხის შესაბამის ჩარჩოში მოქცევას ითვალისწინებს და რომლის განხილვას ახალი მოწვევის პარლამენტი, სავარაუდოდ, შეკრებისთანავე დაიწყებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ აფრთხილებს მოსახლეობას, საკუთარი თანხების დაბანდებამდე, მათი დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე და მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული ეხება სხვადასხვა იურიდიული პირის მხრიდან მაღალი საპროცენტო სარგებლის დაპირების სანაცვლოდ თანხების სესხის, ან თამასუქის სახით მოზიდვას. ასევე, თანხის დაბანდებამდე აუცილებლად გაითვალისწინონ, რომ მაღალი საპროცენტო სარგებელი, სხვა თანაბარ პირობებში, გულისხმობს მაღალ რისკს.

# „ლარის გაუფასურების მიზეზი ქართული ეკონომიკაა“



ეკონომიკის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ლარის გაუფასურება შიდა ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარეობს.

დაგროვების მართვის კომპანია „პირადი ბანკირის“ ხელმძღვანელი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ბერძენაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ლარის გაუფასურების მიზეზი ჩვენს ეკონომიკაშია და საერთაშორისო საფინანსო ბაზრებთან კავშირში არაა.

— ლარის გაუფასურების მიზეზებზე საუბარი საკმაოდ რთულია. თუმცა არსებობს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის ის, რომ ქვეყანაში ნაკლები დოლარი შემოდის, ანუ ინვესტიციები განსაკუთრებით ბოლო კვარტალში შემცირდა. გარდა ამისა, ბაზარზე გარკვეული მანიპულაციები ხორციელდება. ლარის გაუფასურების მიზეზი ჩვენს ეკონომიკაშია და საერთაშორისო საფინანსო ბაზრებთან კავშირში არაა. ლარი ამ კუთხით უცხოეთზე არაა დამოკიდებული და აქ გარე ეფექტს ფაქტობრივად, გამოვრიცხავ. ეს მხოლოდ შიდა ეკონომიკური პრობლემაა, — განაცხადა ირაკლი ბერძენაძემ.

ფინანსისტი და ეკონომისტი დავით წიქარიძე მიიჩნევს, რომ ლარის მდგომარეობა დღეს რეალურად ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობას ასახავს.

— ლარის გაუფასურების მიზეზი არის ის, რაც დღეს ჩვენს ეკონომიკაში ხდება. ლარის მდგომარეობა დღეს ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობას ასახავს. მის გაუფასურებაზე აბსოლუტურად ყველაფერი მოქმედებს. სანამ ეკონომიკა არ გაჯანსაღდება, ლარის ასეთი მდგომარეობა მუდმივად იქნება, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას დავით წიქარიძემ.

თსუ-ს პროფესორი, ეკონომისტი ემზარ ჯგერენაია კი თვლის, რომ ლარის გაუფასურებაზე მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ეკონომიკური პრობლემები არ მოქმედებს.

— ლარის გაუფასურებას რამდენიმე მიზეზი აქვს, ეს არის საგადამხდელო ბალანსი, ექსპორტის შემცირება და იმპორტის ზრდა. ასევე, ლარზე მოქმედებს შემცირებული ინვესტიციები. თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია ეს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ ეკონომიკურ პრობლემებს დავაბრალოთ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერზე გარე ფაქტორები მოქმედებს. — განაცხადა ჯგერენაიამ.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

# ლარი გაუფასურდა



ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

5 ნოემბრიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4516 ლარი გახდება. კურსი, რომელიც 4 ნოემბერს მოქმედებდა, 2.4371 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0145 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, 5 ნოემბრიდან 1 ევროს შეძენა 2.7198 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა 4 ნოემბერს მოქმედი კურსი 2.7027 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0171 ლარი შეადგინა.

# ბათუმში სავაჭრო ცენტრი „ბათუმი მოლი“ იხსნება



ბათუმში პირველი მასშტაბური სავაჭრო ცენტრი „ბათუმი მოლი“ იხსნება.

პროექტი კომპანია შპს-მ „სახლი ბულვარში“ განახორციელა, რომლის წარმომადგენელიც რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ცენტრის სრული ფართობი 18.400 კვ-მ.-ს შეადგენს, საიდანაც 12.500 კვ.მ.-ია კომერციული ფართი, ხოლო 5.900 კვ.მ. გამოყოფილია ავტოსადგომისთვის, რომელიც გათვლილია 220 ავტომობილზე.

„ბათუმი მოლი“ 4-სართულიანი სავაჭრო ცენტრია, შენობას თან ახლავს 6- დონიანი ავტოსადგომი, რაც ბათუმისთვის უპრეცედენტოა.

სავაჭრო ზონა აღჭურვილია ლიფტებითა და ესკალატორებით.

პირველ ეტაპზე მოლში უკვე გახსნილია 50-მდე სავაჭრო და გასართობი ობიექტი. წლის ბოლომდე კი დაგეგმილია მათი რაოდენობის ზრდა და წლის ბოლოს მოლში 100 ობიექტი იქნება განთავსებული.

„ბათუმი მოლის“ გახსნისთვის მასშტაბური საზეიმო ღონისძიებაა დაგეგმილი.

პროექტში 20 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდო. შპს „სახლი ბულვარში“ კი რამდენიმე დეველოპერული კომპანიის, „ორბის“, „ანაგის“, „ალიანს ჯგუფის“ ერთობაა.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# კახეთში ზეთისხილის რთველი იწყება



დედოფლისწყაროს რაიონში ორ კვირაში ზეთისხილის რთველი იწყება.

ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს კომპანია „ქართული ზეთისხილის“ გადამამუშავებელი საწარმოს მენეჯერმა ალექსანდრე ჩახნაშვილმა განუცხადა.

— სულ მალე ჩვენთან ზეთისხილის რთველი დაიწყება. ზეთისხილის პლანტაციები დედოფლისწყაროს რაიონის ორ სოფელში, საქობოსა და მაშნაარში, 25 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული.

მართალია, საცდელი პლანტაციები გურიასა და იმერეთში, კერძოდ ბაღდათის რაიონშიც გვაქვს, მაგრამ იქ ძალიან მცირე მოსავალს ველოდებით. შეიძლება ითქვას, რომ ზეთისხილმა ყველაზე კარგად კახეთში გაიხარა, — აღნიშნა „ქართული ზეთისხილის“ საწარმოს მენეჯერმა.

ალექსანდრე ჩახნაშვილის თქმით, შარშან მხოლოდ 15 ტონა ზეთისხილი მოიწიეს, წელს კი მოსავალი ორჯერ და უფრო მეტად არის მომატებული.

— დაახლოებით 40-50 ტონა მოსავალს ველოდებით. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს უფრო მეტ ზეთისხილს დავკრეფთ. წლის ბოლოს კი, ბაზარზე ჩვენებური, ქართული ზეთისხილი და ზეითუნის ზეთი გამოვა.

ამას უფრო ადრეც ვაპირებდით, მაგრამ ამინდმა ძალიან შეგვიშალა ხელი. შარშან რთველი უფრო ადრე გვქონდა, წელს კი, ზეთისხილმა დამწიფება ცოტა დააგვიანა. ვისაც ჰგონია, რომ ადრე საქართველოში ზეთისხილი არ მოჰყავდათ, ცდება.

კომუნისტების დროსაც ჰქონდათ ზეთისხილის ბაღები დაბა წნორში, მაგრამ მერე ხალხმა აღარ მოუარა და გადაშენდა. ჩვენ ამ ტრადიციის აღდგენა გვსურდა და გვიხარია, რომ მოვახერხეთ, — აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# რიტუალური მკვლელობა თბილისში




19 ოქტომბერს თბილისში მკვლელობა მოხდა. 1940 წელს დაბადებული ლუბა ყ. რამდენიმე პირმა მოკლა.

4 ნოემბერს ამ საკითხზე შსს-ში სპეციალური ბრიფინგი გაიმართა.

უწყების ცნობით, შვილისა და 4 პირის მიერ თბილისში 70 წლამდე ქალის მკვლელობა რიტუალური მკვლელობა იყო. დაკავებულები კონკრეტული სექტის წევრები არიან.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სამმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, რასაც წინ უძღოდა დედა-შვილს: ირმა ყ.-სა და ლუბა ყ.-ს შორის წარმოქმნილი უთანხმოება და დაპირისპირება, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე კორპუსის საცხოვრებელ ბინაში, ამავე მისამართზე მცხოვრები, ბრალდებულ ირმა ყ.-ს დედა, 1940 წელს დაბადებული ლუბა ყ. ჯერ ელექტროშოკით გათიშეს, ხოლო შემდგომ გაგუდეს და დანის დარტყმით მოკლეს.

ბრალდებულებმა გარდაცვლილი ლუბა ყ.-ს ცხედარი დიდი ზომის ჩანთაში მოათავსეს და თბილისში, ბექა შ.-ს ნაქირავებ ბინაში გადაიტანეს, სადაც გვამი დაანაწევრეს.

იმავე საღამოს, დაბინდების შემდგომ, ბრალდებულებმა დანაწევრებული გვამი ორი ჩანთის მეშვეობით გლდანის №8 საპყრობილის მიმდებარედ არსებულ გაუქმებულ ნაგავსაყრელზე გადაიტანეს, წინასწარ, მოცემული დანაშაულის ჩადენის მიზნით შეძენილი ბენზინი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და კვალის დასაფარად, თხრილში დაწვეს.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დროს მოხდა მკვლელობის, გვამის დანაწევრებისა და დაწვის ადგილების დათვალიერება, საიდანაც ამოიღეს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, დაიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა არაერთი და მათ შორის, გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზა, ამოღებულია ვიდეოჩანაწერები და სხვა.

სამართალდამცველების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნანახი და ამოღებული გვამის ფრაგმენტები ეკუთვნის გარდაცვლილ ლუბა ყ.-ს, რომელიც საქართველოს შს სამინისტროს მიერ, ოჯახის წევრის განაცხადის საფუძველზე, 2016 წლის 19 ოქტომბრიდან იძებნებოდა, როგორც უგზოუკვლოდ დაკარგული.

აღნიშნულ საქმეზე განზრახ დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობისთვის დაკავებულ ბრალდებულთაგან ორი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მესამე ბრალდებული, არასრულწლოვანი ნინა ჩ. დუმილის უფლებას იყენებს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, განზრახ მკვლელობის, დანაშაულის დაფარვისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 375-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ირმა ყ., 1993 წელს დაბადებული ბექა შ. და 1999 წელს დაბადებული ნინა ჩ. დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ხოლო 1994 წელს დაბადებული ავთანდილ ა. და 1993 წელს დაბადებული დათა კ. ამავე მკვლელობის შეუტყობინებლობისა და დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულთაგან ერთი, 18 წლის გოგონა, მოკლულის შვილია, მეორე – გოგონას შეყვარებული, დანარჩენი 3 პირი კი მათი მეგობარი.

***

დედის სასტიკ მკვლელობაში ბრალდებული 18 წლის გოგონა ნაშვილები იყო.

როგორც „კვირას“ მოკლულის მეზობლებმა განუცხადეს, ოჯახს წლების წინ ტრაგედია დაატყდა თავს, 19 წლის გოგონა გარდაეცვალა.

მათი თქმით, ლუბა ყ.-მ 57 წლის ასაკში ბავშვი იშვილა და გაზარდა.

მეზობლები ვარაუდობენ, რომ დედის მკვლელობაში ბრალდებული ირმა ყ. რომელიღაც სექტის წევრი იყო.

– ოჯახს წლების წინ 19 წლის გოგონა გარდაეცვალა და ამის შემდეგ ირმა იშვილეს, გაზარდეს. ასე დაუფასდათ ამაგი. ყოველთვის უცნაურად იცვამდა. მთელი სხეული ტატუირებული ჰქონდა. ბოლოს სახეც მოიხატა, აპარსულ თმას ატარებდა და მეზობლებს საერთოდ არ ეკონტაქტებოდა.

არ ვიცით, რა მოხდა. ლუბა დაახლოებით 2 კვირის წინ დაიკარგა და პოლიცია ეძებდა. დღეს გავიგეთ ამ საშინელი მკვლელობის ამბავი, ყველა შოკში ვართ, – ამბობს მეზობელი.

ერთ-ერთი მეზობლის ინფორმაციით, გარდაცვლილ ლუბა ყ.-ს ქმარს, დაახლოებით ორი კვირის წინ, სახლის კარი ღია დახვდა, სახლი კი ცარიელი. რამდენიმე დღეში მან პოლიციას მეუღლის დაკარგვის შესახებ შეატყობინა. მეზობლები ამბობენ, რომ ამ დღეების განმავლობაში დედის მკვლელობაში ბრალდებული გოგონა სახლში იმყოფებოდა.

„კვირას“ ინფორმაციით, სასტიკ მკვლელობაში ბრალდებულმა ირმა ყ.-მ თბილისის 124-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. სკოლის დირექტორის ინფორმაციით, ის მე-12 კლასის დამამთავრებელ გამოცდებზე არ გამოცხადებულა. შესაბამისად, მას სკოლის ატესტატი არ მიუღია.

– მოსწავლე სასწავლო პროცესს არცთუ იშვიათად აცდენდა. დედა მას ხშირად აკითხავდა. დამრიგებლისგან ვიცი, იმდენად ყურადღებიანი დედა ჰყავდა, რომ ძალიან განიცდიდა მის მდგომარეობას. სწავლით გამორჩეული არ ყოფილა. სამი წლის წინ დაამთავრა სკოლა ისე, რომ მე-12 კლასის დასრულების შემდეგ, სკოლის გამოცდებზე არ გამოცხადებულა, – აცხადებს სკოლის დირექტორი მადონა მუმლაძე.

# სტამბულში მოკლული მზია დუნდუა დახმარებას ითხოვდა

## აბაზანაში ჩაკეტილი ქალი მეგობრებს ურეკავდა

სტამბულში 51 წლის მზია დუნდუას მკვლელობის შესახებ „კვირამ“ დამატებითი დეტალები გაარკვია.

როგორც სააგენტოსთვის გახდა ცნობილი, მზია დუნდუამ გარდაცვალებამდე ორ ქართველს დაურეკა და დიასახლისთან მომხდარი დაპირისპირების შესახებ უამბო. იგი მათგან დახმარებას ითხოვდა.

– მზიას და თურქ დიასახლისს შორის კამათი სამი დღე გრძელდებოდა. მზია გასამრჯელოს ითხოვდა. სურდა, თანხა საქართველოში, სახლში გაეგზავნა. 1 ნოემბერს, სამშაბათს, როდესაც მზიამ კიდევ ერთხელ მოითხოვა თანხა, თურქმა ქალმა საყვავილე ესროლა და თავში მოარტყა. მზიამ გონება დაკარგა.

დიასახლისმა აბაზანაში ჩაკეტა. გონზე რომ მოვიდა, ორ ქართველს დაურეკა და დახმარება სთხოვა. ამ დროს, თურქი დიასახლისი კარზე აკაკუნებს, მაგრამ მზია კარს არ აღებს. ქალმა კარი შეანგრია. ოთახში შევარდა. განრისხებულმა, მზიას დანით მრავლობითი ჭრილობები მიაყენა და სახლიდან გაიქცა. დაჭრილ-დასახიჩრებული და დასისხლიანებული სხეულით, ქართველმა ხოხვით აივნამდე მიაღწია, – ამბობს „კვირასთან“ საუბრისას ერთ-ერთი ქართველი.



მისი თქმით, თურქმა სამართალდამცველებმა 51 წლის მზია დუნდუას დასახიჩრებული ცხედარი აივანზე აღმოაჩინეს.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადაც მივიდა. თუმცა, ექიმებს უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

კიდევ ერთი ქართველის თქმით, თურქული მხარე საქართველოს მოქალაქის თვითმკვლელობის ვერსიაზე მუშაობს, რადგან გარდაცვლილს ვენები გადაჭრილი ჰქონდა.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ მზია დუნდუა და ოჯახის დიასახლისი შეკამათდნენ. მან სახლი დატოვა. რამდენიმე საათის შემდეგ კი დაცვას შეატყობინა, რომ მოსამსახურე ტელეფონს არ პასუხობდა და სთხოვა გაერკვიათ, თუ რა ხდებოდა სახლში. დაცვის წევრებმა საქართველოს ვენებგადაჭრილი მოქალაქე სისხლის გუბეში აღმოაჩინეს, – ამბობს ერთ-ერთი ემიგრანტი.

დედის თვითმკვლელობას კატეგორიულად გამორიცხავენ დუნდუას შვილები.

– დედას 3-4 დღის წინ ვესაუბრე. კონფლიქტის შესახებ არაფერი უთქვამს. დედაჩემი თავს არ მოიკლავდა. მას აქ ჩვენ ვყავდით, მეუღლე და ორი შვილი ველოდებოდით. დედა თებერვალში ჩამოსვლას აპირებდა, – აღნიშნა „კვირასთან“ პავლე ფოფხაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სტამბულში გენერალური კონსული ოჯახს დახმარებას უწევს. სამინისტროში აცხადებენ, რომ მზია დუნდუას ცხედრის სტამბულიდან საქართველოში გადმოსვენების ხარჯებს ქართული მხარე დაფარავს.

– საქართველოს მოქალაქის გადმოსვენებას საკონსულო ორგანიზებას გაუწევს. მათ შორის ფინანსურ ხარჯებს ქართული მხარე გაიღებს. რაც შეეხება ექსპერტიზის ჩატარებას, საკონსულოს წარმომადგენელს კანონით არ აქვს უფლება გამოძიებაში ან ექსპერტიზაში ჩაერიოს, – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

უწყების ცნობით, მზია დუნდუას მეუღლემ საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებისთვის ოფიციალური წერილით მიმართა.

ჯერჯერობით უცნობია, გამოძიების მიერ დაკავებულია თუ არა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი.

# განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ქველაძეს 12 წლით ციხე მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გიორგი ქველაძე განზრახ მკვლელობის ჩადენაში დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 14 თებერვალს, დაახლოებით 11:30 საათზე, ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №26ა კორპუსის ეზოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, გიორგი ქველაძემ განზრახ მოკვლის მიზნით, ირაკლი ღლონტს დანით გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ირაკლი ღლონტი მიღებული ჭრილობის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა გიორგი ქველაძე იმავე დღეს, ქ. თბილისში, დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ქველაძე სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გიორგი ქველაძე წარსულში გასამართლებულია ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით.

ინტერპრესნიუსი

# თბილისში უსახლკარო მამაკაცის ცხედარი იპოვეს

თბილისში, სტადიონ „დინამო არენას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მამაკაცის ცხედარი იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია. გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

არაოფიციალური ინფორმაციით, გარდაცვლილი უსახლკარო იყო. „დინამო არენას“ მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავეები არ გამორიცხავენ, რომ მამაკაცი 3 ნოემბერს ღამით გაიყინა, თუმცა, მეორე ვერსიით, ის გულთან დაკავშირებული პრობლემებით გარდაიცვალა.

მამაკაცის დაღუპვის ზუსტ მიზეზს გამოძიება დაადგენს.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# „ქართული ოცნების“ კოორდინატორს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სოფელ ჯიხაშკარის საარჩევნო უბნის დარბევის ფაქტზე მანუჩარ გაბეჩავას აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

შესაბამისი გადაწყვეტილება მოსამართლე ნატრული აკობიამ მიიღო.

დაცვის მხარე 5000 ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა, რაც მოსამართლემ არ გაითვალისწინა.

მანუჩარ გაბეჩავა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი და პარტიის ერთ-ერთი კოორდინატორია.

ზუგდიდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებას დაკავებულის ადვოკატი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ადვოკატმა ბაჩუკი ყურაშვილმა განუცხადა.

– პროცესზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები იყო სრულიად უსაფუძვლო. ჩვენ ვითხოვდით მის გათავისუფლებას ან ალტერნატივის სახით 5.000-ლარიანი გირაოს შეფარდებას, რადგან მიგვაჩნია, რომ დაკავების საფუძველი არ არსებობს. მანუჩარ გაბეჩავას გაქცევა ან გამოძიებისთვის ხელის შეშლა რომ სდომოდა, ის თითქმის ერთი თვე თავისუფალი იყო და ამას მოახერხებდა. თუმცა ის ჩვეულებრივ აგრძელებდა თავის საქმიანობას და არანაირი პროცესისთვის ხელი არ შეუშლია. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორია და 48 საათის განმავლობაში მას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ, – განაცხადა ბაჩუკი ყურაშვილმა.

რაც შეეხება წინასასამართლო სხდომას, პროცესი 5 დეკემბერს, 12.00 საათისთვის ჩაინიშნა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სურკოვი: „პოროშენკოს ჩამოგდებას აზრი არ აქვს“

## ჰაკერებმა ვლადისლავ სურკოვის ახალი წერილები გამოაქვეყნეს

ჰაკერებმა, რომლებმაც ვლადისლავ სურკოვის ელფოსტა გატეხეს, ახალი წერილების მთელი დასტა გამოაქვეყნეს. მათში ძირითადად საუბარია უკრაინაზე. ეს კანონზომიერია, რადგანაც სურკოვი უკრაინას კურირებს და მას ევალება დონბასის ნაწილისათვის განსაკუთრებული სტატუსის მიღწევა.

წერილებში დეტალურადაა განხილული უკრაინაში შექმნილი მდგომარეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სურკოვის მიმოწერა პროკრემლური ორიენტაციის პოლიტოლოგ ბონდარენკოსთან.

სურკოვი აღიარებს, რომ პრორუსული ძალები პარლამენტში უმრავლესობას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოიპოვებენ. პეტრო პოროშენკოს ხელისუფლებიდან ჩამოშორებასაც, ელემენტარულად, აზრი არ აქვს, რადგან მას უფრო რადიკალური ლიდერი შეცვლის. შესაბამისად, აქცენტი უკრაინის ფედერალიზაციაზე უნდა გაკეთდეს.



კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ავტონომიისთვის მოძრაობა უნდა გაფართოვდეს. სურკოვი საუბრობს ოდესისთვის პორტო-ფრანკოს (თავისუფალი ქალაქის) სტატუსის მინიჭებაზე, აგრეთვე დნეპროპეტროვსკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, ხარკოვის სპეცსტატუსზე და ა.შ. დასახელებულია დეპუტატების გვარები, რომლებიც ამას მხარს უჭერენ. იქ გვხვდებიან როგორც „ოპოზიციური ბლოკისა“ და „ვოზროჟდენიეს“, აგრეთვე რიგი პატრიოტული ორგანიზაციების, მათ შორის რადიკალური პარტიისა და პეტრო პოროშენკოს ბლოკის წარმომადგენლებიც.

სიტყვიერად ეს ორგანიზაციები უნიტარული უკრაინის მომხრენი არიან. ფედერალიზმის თემა უკრაინაში არაპოპულარულია. ფედერალიზაციას მხარს მხოლოდ 3% უჭერს. შესაბამისად, უკრაინის ფედერალიზაციაზე თვით ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებიც კი უაღრესად ფრთხილად ლაპარაკობენ.

სურკოვის ახალი წერილების გამოქვეყნებამ უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია. რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტი სურკოვის თანაშემწე მარია ვინოგრადოვას დაუკავშირდა. მან მომხდარის გამო აღშფოთება გამოთქვა:

— პირდაპირ სიტყვები არ მყოფნის, როგორ შეიძლება ასეთი რამის გამოქვეყნება!

— ანუ გინდათ თქვათ, რომ ეს წერილები ყალბია?

— არა, მაგას ვერ გეტყვით.

იგივე განაცხადა პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა. სურკოვის მიმოწერის გამოქვეყნებით მანაც აღშფოთება გამოთქვა. შეკითხვაზე, თვლით თუ არა, წერილები ყალბიაო, მან მიუგო:

— არ ვიცი!

# ჰილარი კლინტონის რეიტინგმა კვლავ აიწია



ფლორიდაში ჰილარი კლინტონის მხარდამჭერი მიტინგი შედგა. მასზე სიტყვით აშშ-ის პრეზიდემტი ბარაქ ობამა გამოვიდა.

— მოგიწოდებთ, ხმა ჰილარის მისცეთ. იმიტომ არა, რომ ჩემი თანაპარტიელია, იმიტომ, რომ ტრამპი არაკომპეტენტურია და უმაღლესი მთავარსარდლის როლზე არ გამოდგება, — თქვა ობამამ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ფლორიდა გადამწყვეტი შტატია.

— თუკი გავიმარჯვებთ ფლორიდაში, არჩევნებსაც მოვიგებთ. ასე რომ, ნუ იქნებით პასიურნი! ახლა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მთელი მსოფლიოს ბედი წყდება, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ობამას მხარდაჭერამ შედეგი უკვე გამოიღო. ახლა ტრამპს მხარს 46% უჭერს, ჰილარი კლინტონს — 51%. ამრიგად, უპირატესობა 5%-მდე გაიზარდა, თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ სიტუაცია, შესაძლოა, შეიცვალოს.

რეიტინგები მერყეობს და ყოველდღე იცვლება არჩევნების მოახლოებასთან ერთად. შესაძლოა, ტრამპმა ვითარების თავის სასარგებლოდ შემობრუნება მოახერხოს და უკანასკნელ წუთს კლინტონს გაუსწროს.

# ალეპო: პარტიზანები ერთმანეთს დაერივნენ



ალეპოში დაიწყო ბრძოლები ალ-ნუსრასა და სირიის თავისუფალი არმიის მებრძოლებს შორის.

ექსპერტები თვლიან, რომ ამან შესაძლოა ფატალური შედეგი იქონიოს. ასადის არმია მასშტაბური იერიშისთვის ემზადება. ასეთ დროს პარტიზანებს შორის შიდა ომი დიქტატორის წისქვილზე ასხამს წყალს:

შექმნილ ვითარებაში პარტიზანებს ასადის მასირებულ შეტევასთან გამკლავება გაუჭირდებათ.

# თურქეთი: აფეთქება დიარბექირში



4 ნოემბერს, დილით, თურქეთის ქალაქ დიარბექირში პოლიციის შენობასთან ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომობილი აფეთქდა.

დანაღმული ავტომობილი თვითმკვლელმა ტერორისტმა ააფეთქა.

შედეგად დაიღუპა 8 ადამიანი. 100-ზე მეტი დაშავდა.

ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა.

მისი თქმით, დაღუპულთა შორის არის აფეთქების სავარაუდო ორგანიზატორი, რომელიც თურქეთში აკრძალული ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრია.

დიარბექირი სირიის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური ქურთია.

# ბულგარეთის პრეზიდენტი რუსეთს ბრალს სდებს



ბულგარეთის პრეზიდენტმა პლევნელიევმა განაცხადა, რომ რუსეთს როგორც ბულგარეთის, ასევე მთელი ევროპის დესტაბილიზაცია სურს. პრეზიდენტმა თქვა, რომ მოსკოვი აფინანსებს ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც ბულგარეთში ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევიან და მის ევროკავშირიდან გასვლას მოითხოვენ.

მსგავსი სურათია გერმანიაში, საფრანგეთსა თუ სხვა ქვეყნებში.

— ფაქტობრივად, ჩვენ ცივილიზაციათა შორის ომის მოწმენი ვართ. ერთი მხრივ, რუსეთი, რომელიც ტიპური ევრაზიული სახელმწიფოა და თავისი ფსევდოფასეულობების ექსპორტს ცდილობს, მეორე მხრივ, ევროპა თავისი დემოკრატიული ღირებულებებითა თუ კანონის უზენაესობით, — ამბობს პრეზიდენტი.

პლევნელიევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის კიბერშეტევები სხვა არაფერია, თუ არა ევროპის დესტაბილიზაციის მცდელობა. მან დასავლეთის ქვეყნებს რუსული საფრთხის წინაშე კონსოლიდაციისა და ეფექტური კონტრღონისძიებების შემუშავებისკენ მოუწოდა.

# ალ ბაღდადიმ მოსული დატოვა

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ ისლამური სახელმწიფოს ლიდერმა ალ ბაღდადიმ მოსული დატოვა.

მებრძოლთა შეიარაღებული ჯგუფები ქალაქს ტოვებენ და სირიისკენ მიემართებიან. ისინი ალ ბაღდადის მიერ ქალაქის დატოვებას უარყოფენ.



— ევროპელები ამტკიცებდნენ, ალ ბაღდადი მკვდარიაო. აღმოჩნდა, რომ ცოცხალია. ასევე სიცრუეა ის, თითქოს მან მოსული დატოვა. ის ქალაქში რჩება და ბრძოლებს ხელმძღვანელობს, — ამბობენ ისინი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# რუსული მარში მოსკოვში

4 ნოემბერს მოსკოვში რუსული მარში ჩატარდა.

აქცია მოსკოვის დროით 13 საათზე დაიწყო. მასში 6.000 ადამიანი მონაწილეობდა. მიტინგზე მგზნებარე სიტყვით ვლადიმერ ჟირინოვსკი გამოვიდა.




— 4 ნოემბერი რუსეთისთვის ისტორიული დღეა! ამ დღეს შფოთიან დროს ბოლო მოეღო. დაიწყო ახალი, ძლიერი რუსეთის შექმნა, რომლის წინაშეც მთელი ევროპა თრთოდა, — განაცხადა ვლადიმერ ვოლფოვიჩმა.

ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ ლიბერალები რუსეთის ისტორიაში მუდამ უარყოფით როლს თამაშობდნენ. მისი აზრით, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებაც ლიბერალების გამოისობით მოხდა.

— ლიბერალებმა ხელი შეუშალეს პოლიციას, თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობა შეესრულებინა, — თქვა ჟირინოვსკიმ.

ვლადიმერ ვოლფოვიჩის აზრით, ლიბერალები დღესაც დესტრუქციულ როლს თამაშობენ. მათ მიაღწიეს იმას, რომ ალეპოს დაბომბვები შეჩერდა, რამაც მდგომარეობა გაართულა.

— დაბომბვები რომ გაგრძელებულიყო, ალეპო უკვე აღებული იქნებოდა, — აცხადებს ჟირინოვსკი.

მოწოდება, ანალოგიური აქციები ჩაეტარებინათ კიევში, ხარკოვსა თუ სხვაგან, რეაგირების გარეშე დარჩა. უკრაინის მოსახლეობამ ამას მხარი არ დაუჭირა.

— ჩვენ მოსკალები არა ვართ, — ამბობენ უკრაინელები.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავ-

# თბილისური სუპერთასის მონაწილეები ურთიერთობას ესპანეთში გაარკვევენ

მომავალ უქმეებზე ლონდონური დერბია – არსენალი-ტოტენჰემი. ესპანეთში თბილისის სუპერთასის მონაწილეები სევილია და ბარსელონა გაარკვევენ ურთიერთობას. ეს გამორჩეულები, მაგრამ არის კიდევ რამდენიმე საინტერესო მატჩი ევროპულ ჩემპიონატებში.

## სტატისტიკა, ფსონები




### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | სიტი-მიდლსბრო | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 05.11 | ბორნმუთი-სანდერლენდი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 05.11 | ბარნლი-კრ.პალასი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 05.11 | ვესტ ჰემი-სტოკი | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 05.11 | ჩელსი-ევერტონი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 06.11 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 06.11 | ლივერპული-უოტფორდი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 06.11 | ჰალი-საუთჰემპტონი | 5.5 | 3.6 | 1.67 |
| 06.11 | სუონსი-მანჩესტერი | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 06.11 | ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.8 | 3.4 | 4.75 |

**სიტი-მიდლსბრო**

სიტი: ***ტრავმ***-ბაქარი სანია, ფაბიან დელფი

მიდლსბრო: ***ტრავმ***-კრისტიან სტუანი, დანიელ აიალა, მარტენ დე როონი

**ბორნმუთი-სანდერლენდი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯოშუა კინგი, ენდრიუ სურმანი, სტივ კოოკი, ადამ სმიტი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ჯონ ოში, ვიტო მანონე, ფაბიო ბორინი

**ბარნლი-კრ.პალასი**

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივ უორდი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე, პაპე სუარე

**ვესტ ჰემი-სტოკი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-გოკჰან ტურე, სამ ბირანი, არტურ მასუაკუ, ენდი კეროლი

სტოკი: ***ტრავმ***-ხერდან შაქირი, გლენ ჯონსონი

**ჩელსი-ევერტონი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი: ***ტრავმ***-არუანა კონე, ჯეიმს მაკკარტნი

**არსენალი-ტოტენჰემი**

არსენალი: ***ტრავმ***-ჰექტორ ბერელინი, ლუკას პერესი, სანტი კაზორლა, დენი უელბეკი, პერ მერტეზაკერი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტობი ალდერვაირელდი

**ლივერპული-უოტფორდი**

ლივერპული: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი: ***ტრავმ***-სებასტიან პროდი, კრეიგ ჩატკარტი, კენედი, ისააკ სუკესი

**ჰალი-საუთჰემპტონი**

ჰალი: ***ტრავმ***-რობერტ სნოდგრასი, ენდრიუ რობერტსონი, დიემერსი მბოკანი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-შონ ლონგი, ჯერემი პიდი

**სუონსი-მანჩესტერი**

სუონსი: ***ტრავმ***-ნატჰან დაიერი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანტონიო ვალენსია, კრის სმოლინგი, ერიკ ბაილი

**ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი**

ლესტერი: ***ტრავმ***-ნამპალის მენდი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 7 | 2 | 1 | 24-9 | 23 |
| 2.არსენალი | 10 | 7 | 2 | 1 | 23-10 | 23 |
| 3.ლივერპული | 10 | 7 | 2 | 1 | 24-13 | 23 |
| 4.ჩელსი | 10 | 7 | 1 | 2 | 21-9 | 22 |
| 5.ტოტენჰემი | 10 | 5 | 5 | 0 | 14-5 | 20 |
| 6.ევერტონი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-8 | 18 |
| 7.უოტფორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-13 | 15 |
| 8.მანჩესტერი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-12 | 15 |
| 9.საუთჰემპტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 10.ბორნმუთი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 11.ლესტერი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-16 | 12 |
| 12.სტოკი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-17 | 12 |
| 13.კრ.პალასი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-16 | 11 |
| 14.ბარნლი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| 15.მიდლსბრო | 10 | 2 | 4 | 4 | 9-11 | 10 |
| 16.ვესტ ბრომვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-14 | 10 |
| 17.ვესტ ჰემი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-19 | 10 |
| 18.ჰალი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-23 | 7 |
| 19.სუონსი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-18 | 5 |
| 20.სანდერლენდი | 10 | 0 | 2 | 8 | 7-20 | 2 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | გრანადა-დეპორტივო | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 05.11 | სოსიედადი-ატლეტიკო | 4.6 | 3.5 | 1.8 |
| 05.11 | ოსასუნა-ალავესი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 05.11 | ლას პალმასი-ეიბარი | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 06.11 | რეალი-ლეგანესი | 1.06 | 12.0 | 29.0 |
| 06.11 | ესპანიოლი-ბილბაო | 2.9 | 3.2 | 2.5 |
| 06.11 | სელტა-ვალენსია | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 06.11 | ვილიარეალი-ბეტისი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 06.11 | სევილია-ბარსელონა | 5.5 | 4.4 | 1.53 |

**გრანადა-დეპორტივო**

გრანადა: ***ტრავმ***-გასტონ სილვა

დეპორტივო: ***ტრავმ***-ხოსელუ

**სოსიედადი-ატლეტიკო**

სოსიედადი: ***ტრავმ***-მარკელ ბერგარა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-აუგუსტო ფერნანდესი

**ოსასუნა-ალავესი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ხავიერ ფლანო

ალავესი: ***ტრავმ***-ვიქტორი, იბაი გომესი

**ლას პალმასი-ეიბარი**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-არავინ

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

**რეალი-ლეგანესი**

რეალი: ***ტრავმ***-სერხიო რამოსი, ლუკა მოდრიჩი, კაზემირო

ლეგანესი: ***ტრავმ***-ადრიან მარინი, კონე

**ესპანიოლი-ბილბაო**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ალვარო ვასკესი, ოსკარ დუარტე

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

**სელტა-ვალენსია**

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

ვალენსია: ***ტრავმ***-ხოსე გაია

**ვილიარეალი-ბეტისი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-არავინ

ბეტისი: ***ტრავმ***-რიზა დურმისი, ჩარლი მუსონდა

**სევილია-ბარსელონა**

სევილია: ***ტრავმ***-კარლოს ფერნანდესი, ბენუა ტრემულანისი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ალექსის ვიდალი, ანდრეს ინიესტა, ჯერემი მატიე, ხერარდ პიკე, ხორდი ალბა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 10 | 7 | 3 | 0 | 28-10 | 24 |
| 2.ბარსელონა | 10 | 7 | 1 | 2 | 30-12 | 22 |
| 3.ატლეტიკო | 10 | 6 | 3 | 1 | 25-6 | 21 |
| 4.სევილია | 10 | 6 | 3 | 1 | 18-13 | 21 |
| 5.ვილიარეალი | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| 6.სოსიედადი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-12 | 16 |
| 7.ბილბაო | 10 | 5 | 1 | 4 | 15-13 | 16 |
| 8.ეიბარი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-14 | 15 |
| 9.სელტა | 10 | 4 | 2 | 4 | 16-20 | 14 |
| 10.ლას პალმასი | 10 | 3 | 4 | 3 | 20-18 | 13 |
| 11.მალაგა | 10 | 3 | 3 | 4 | 14-14 | 12 |
| 12.ესპანიოლი | 10 | 2 | 5 | 3 | 13-17 | 11 |
| 13.ბეტისი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-20 | 11 |
| 14.ვალენსია | 10 | 3 | 1 | 6 | 14-19 | 10 |
| 15.ალავესი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-15 | 10 |
| 16.ლეგანესი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-19 | 10 |
| 17.დეპორტივო | 10 | 2 | 3 | 5 | 7-15 | 9 |
| 18.ხიხონი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-19 | 9 |
| 19.ოსასუნა | 10 | 1 | 4 | 5 | 12-20 | 7 |
| 20.გრანადა | 10 | 0 | 3 | 7 | 8-24 | 3 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | ინგოლშტადი-აუგსბურგი | 2.1 | 3.1 | 3.8 |
| 05.11 | ლევერკუზენი-დარმშტადი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 05.11 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 7.0 | 4.5 | 1.44 |
| 05.11 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 05.11 | ბაიერნი-ჰოფენჰაიმი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 05.11 | აინტრახტი-კიოლნი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 06.11 | ლაიპციგი-მაინცი | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 06.11 | შალკე-ვერდერი | 1.55 | 4.33 | 5.5 |

**ინგოლშტადი-აუგსბურგი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-დარიო ლეზკანო, ალფრედო მორალესი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-რაულ ბობადილა, კაიბუ, რაფაელ ფამბერგერი

**ლევერკუზენი-დარმშტადი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჯოელ პონჯაპალო, ქარიმ ბელარაბი

დარმშტადი: ***ტრავმ***-იან როზენტალი

**ჰამბურგი-დორტმუნდი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ემირ სპაჰიჩი, იოან ჯურუ

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარკო როისი, მარსელ შმელცერი, რაფაელ გერერო, ანდრეა შურლე, ნევენ სუბოტიჩი

**ფრაიბურგი-ვოლფსბურგი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ამირ აბრაში

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-კრისტიან ტრაში, დანიელ დიდავი, ვიერინია, ბრუნო ენრიკე

**ბაიერნი-ჰოფენჰაიმი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ფრენკ რიბერი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-მარკ უტი, პირმინ შვეგლერი

**აინტრახტი-კიოლნი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეიერი, ანტე რებიჩი, დანი ბლუმი, გილერმო ვარელა

კიოლნი: ***ტრავმ***-ლეონარდო ბიტენკურტი

**ლაიპციგი-მაინცი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

მაინცი: ***ტრავმ***-ფაბიან ფრეი, კრისტიან კლემენსი, იოშინორი მუტო

**შალკე-ვერდერი**

შალკე: ***ტრავმ***-სიდნეი სემი, ბრელ ემბოლო

ვერდერი: ***ტრავმ***-სამბუ იატაბარე, ფალოუ დიანე, იაროსლავ დრობნი, ლუკა კარდიროლა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 9 | 7 | 2 | 0 | 23-5 | 23 |
| 2.ლაიპციგი | 9 | 6 | 3 | 0 | 17-6 | 21 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 9 | 5 | 4 | 0 | 17-10 | 19 |
| 4.კიოლნი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-6 | 18 |
| 5.ჰერტა | 9 | 5 | 2 | 2 | 14-10 | 17 |
| 6.დორტმუნდი | 9 | 4 | 3 | 2 | 20-10 | 15 |
| 7.აინტრახტი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-8 | 15 |
| 8.ფრაიბურგი | 9 | 5 | 0 | 4 | 13-13 | 15 |
| 9.მაინცი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-15 | 14 |
| 10.ლევერკუზენი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-13 | 13 |
| 11.გლადბახი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 12 |
| 12.შალკე | 9 | 2 | 2 | 5 | 10-11 | 8 |
| 13.აუგსბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-14 | 8 |
| 14.დარმშტადტი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-17 | 8 |
| 15.ვერდერი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-24 | 7 |
| 16.ვოლფსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 17.ინგოლშტადტი | 9 | 0 | 2 | 7 | 7-19 | 2 |
| 18.ჰამბურგი | 9 | 0 | 2 | 7 | 2-18 | 2 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | პესკარა-ემპოლი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 05.11 | ჯენოა-უდინეზე | 1.83 | 3.5 | 4.4 |
| 05.11 | ტორინო-კალიარი | 1.6 | 3.75 | 5.5 |
| 05.11 | ნაპოლი-ლაციო | 1.75 | 4.0 | 4.2 |
| 06.11 | პალერმო-მილანი | 5.5 | 3.6 | 1.67 |
| 06.11 | სასუოლო-ატალანტა | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 06.11 | კიევო-იუვენტუსი | 7.5 | 4.2 | 1.44 |
| 06.11 | ინტერი-კროტონე | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 06.11 | ფიორენტინა-სამპდორია | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 06.11 | რომა-ბოლონია | 1.3 | 5.5 | 9.0 |

**პესკარა-ემპოლი**

პესკარა: ***ტრავმ***-ჟან ბაბეკი, დავიდე ვიტურინი, ვალერიო ვერე, ნორბერტ გიომბერი

ემპოლი: ***ტრავმ***-ვინსენტ ლორინი

**ჯენოა-უდინეზე**

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ

უდინეზე: ***ტრავმ***-პაბლო არმერო, ადალბერტო პენარანდა, პანაგიოტის კონე, ედვარდო

**ტორინო-კალიარი**

ტორინო: ***ტრავმ***-ლეანდრო გასტანი, კრისტიან მოლინარო

კალიარი: ***ტრავმ***-ნიკოლა მურუ, ჟოაო პედრო, დიეგო ფარიასი, არტურ იონიტა

**ნაპოლი-ლაციო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არკადიუშ მილიკი, რაულ ალბიოლი

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფან დე ვრეი, ჯორდან ლუკაკუ, ბასტოსი

**პალერმო-მილანი**

პალერმო: ***ტრავმ***-სლობოდან რაიკოვიჩი, ჯანკარლო გონსალესი, აკურსიო ბენტივენია

მილანი: ***ტრავმ***-დავიდე კალაბრია, რიკარდო მონტოლივო, ლუკა ანტონელი, ანდრეა ბერტოლაჩი

**სასუოლო-ატალანტა**

სასუოლო: ***ტრავმ***-ლუკა ანტეი, პაოლო კანავარო, ფრანჩესკო მანანელი, სიმონე მისიროლი, დომენიკო ბერარდი

ატალანტა: ***ტრავმ***-რაფაელ ტოლოი

**კიევო-იუვენტუსი**

კიევო: ***ტრავმ***-რიკარდო მეჯიორინი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-პაოლო დიბალა, მარკო პიაცა

**ინტერი-კროტონე**

ინტერი: ***ტრავმ***-ფელიპე მელო

კროტონე: ***ტრავმ***-არავინ

**ფიორენტინა-სამპდორია**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

სამპდორია: ***ტრავმ***-ემილიანო ვივიანო, დანიელ პავლოვიჩი

**რომა-ბოლონია**

რომა: ***ტრავმ***-ალესანდრო ფლორენცი, ტომას ვერმალენი

ბოლონია: ***ტრავმ***-დომენიკო მაიეტა, ვასილის ტოროსიდისი, არჰიმედ მორლეო, მატია დესტრო, ანტონიო მირანტე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 11 | 9 | 0 | 2 | 23-8 | 27 |
| 2.რომა | 11 | 7 | 2 | 2 | 26-12 | 23 |
| 3.მილანი | 11 | 7 | 1 | 3 | 17-14 | 22 |
| 4.ლაციო | 11 | 6 | 3 | 2 | 22-12 | 21 |
| 5.ნაპოლი | 11 | 6 | 2 | 3 | 20-12 | 20 |
| 6.ატალანტა | 11 | 6 | 1 | 4 | 16-13 | 19 |
| 7.ტორინო | 11 | 4 | 4 | 3 | 22-15 | 16 |
| 8.ფიორენტინა | 10 | 4 | 4 | 2 | 13-10 | 16 |
| 9.ჯენოა | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 15 |
| 10.კიევო | 11 | 4 | 3 | 4 | 11-12 | 15 |
| 11.ინტერი | 11 | 4 | 2 | 5 | 13-14 | 14 |
| 12.უდინეზე | 11 | 4 | 2 | 5 | 15-18 | 14 |
| 13.სამპდორია | 11 | 4 | 2 | 5 | 12-16 | 14 |
| 14.კალიარი | 10 | 4 | 1 | 5 | 17-23 | 13 |
| 15.ბოლონია | 11 | 3 | 4 | 4 | 11-15 | 13 |
| 16.სასუოლო | 11 | 4 | 1 | 6 | 14-19 | 13 |
| 17.პესკარა | 11 | 1 | 4 | 6 | 9-16 | 7 |
| 18.ემპოლი | 11 | 1 | 4 | 6 | 2-13 | 7 |
| 19.პალერმო | 10 | 1 | 3 | 6 | 7-19 | 6 |
| 20.კროტონე | 11 | 1 | 2 | 8 | 10-21 | 5 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05.11 | მონაკო-ნანსი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 05.11 | დიჟონი-გენგამი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 05.11 | ანჟე-ლილი | 2.45 | 2.9 | 3.25 |
| 05.11 | ბორდო-ლორიანი | 1.75 | 3.75 | 4.8 |
| 05.11 | ნანტი-ტულუზა | 2.5 | 3.0 | 3.1 |
| 05.11 | ლიონი-ბასტია | 1.44 | 4.2 | 6.5 |
| 06.11 | კაენი-ნიცა | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 06.11 | მეცი-სტ.ეტიენი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 06.11 | პსჟ-რენი | 1.25 | 6.0 | 11.0 |

**მონაკო-ნანსი**

მონაკო: ***ტრავმ***-ჟოაო მოუტინიუ, ალმამი ტურე, ნაბილ დირარი

ნანსი: ***ტრავმ***-კრისტოფერ მანდამე, მოდუ დიანე, იუსუფ ჰაჯი

**დიჟონი-გენგამი**

დიჟონი: ***ტრავმ***-ვინსენტ რუფლი, არნოლდ ბოკა

გენგამი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო

**ანჟე-ლილი**

ანჟე: ***ტრავმ***-ბილი კეტკეოპომპონე

ლილი: ***ტრავმ***-მუნირ ობადი, მარკო ბაშა, რაიან მენდესი, ნიკოლას დე პრევილი

**ბორდო-ლორიანი**

ბორდო: ***ტრავმ***-ჯერემი მენეზი, სედრიკ კარასკო, ტომას ტურე, ფრედერიკ ჯილბერტი

ლორიანი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მუკანჯო, სილვიან მარვო

**ნანტი-ტულუზა**

ნანტი: ***ტრავმ***-ვილფრედ მოიმბე, ანტუან ვალონვა, ჯულეს ილოკი

ტულუზა: ***ტრავმ***-კლემეტ მიჩელინი

**ლიონი-ბასტია**

ლიონი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა, კრისტოფერ ჟალე

ბასტია: ***ტრავმ***-ალექსანდერ ჯიკუ, აბდელ ელ კაუტარი

**კაენი-ნიცა**

კაენი: ***ტრავმ***-ჟულიენ ფერე, მუჰამადუ დაბო, სიამ ბენ იუსეფი

ნიცა: ***ტრავმ***-მარიო ბალოტელი

**მეცი-სტ.ეტიენი**

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-რომან ჰამუმა, ფაბიენ ლემო

**პსჟ-რენი**

პსჟ: ***ტრავმ***-სერჟ ორიე, ხავიერ პასტორე

რენი: ***ტრავმ***-გელსონ ფერნანდესი, ედსონ მექსე, რემი ბენსებიანი, ერმირ ლენიანი, კლემენტ ჩანტომე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 11 | 9 | 2 | 0 | 24-8 | 29 |
| 2.მონაკო | 11 | 7 | 2 | 2 | 30-15 | 23 |
| 3.პსჟ | 11 | 7 | 2 | 2 | 20-7 | 23 |
| 4.გენგამი | 11 | 6 | 2 | 3 | 14-9 | 20 |
| 5.რენი | 11 | 6 | 2 | 3 | 13-12 | 20 |
| 6.ტულუზა | 11 | 5 | 3 | 3 | 15-9 | 18 |
| 7.სტ.ეტიენი | 11 | 4 | 5 | 2 | 14-10 | 17 |
| 8.ლიონი | 11 | 5 | 1 | 5 | 18-15 | 16 |
| 9.ბორდო | 11 | 4 | 4 | 3 | 13-12 | 16 |
| 10.მარსელი | 11 | 3 | 5 | 3 | 11-10 | 14 |
| 11.ანჟე | 11 | 4 | 2 | 5 | 10-11 | 14 |
| 12.დიჟონი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-14 | 13 |
| 13.მეცი | 11 | 4 | 1 | 6 | 11-21 | 13 |
| 14.ბასტია | 11 | 3 | 2 | 6 | 8-10 | 11 |
| 15.ნანტი | 11 | 3 | 2 | 6 | 8-15 | 11 |
| 16.მონპელიე | 11 | 2 | 5 | 4 | 16-25 | 11 |
| 17.ლილი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-17 | 10 |
| 18.კაენი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-21 | 10 |
| 19.ნანსი | 11 | 2 | 3 | 6 | 7-13 | 9 |
| 20.ლორიანი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-18 | 7 |

# ფაჩულიას საუკეთესო მატჩი გოლდენ სტეიტში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და ორმაგ დუბლამდე 2 ქულა დააკლდა. ის რომ მოედნიდან მესამე პერიოდში არ გაეყვანათ, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, შესაძლოა, ქართველი ცენტრი სამმაგ დუბლამდეც ასულიყო. ზაზამ ყველა სტატისტიკურ მაჩვენებელს მსუყედ მოუსინჯა გემო და მისი ქომაგები ბრწყინვალე შედეგით გაახარა – 23 წუთში 8 ქულა, 10 მოხსნა (6 მეტოქის ფარზე), 5 პასი, 3 დაფარება და 3 ჩაჭრა.

ზაზამ შეხვედრა სროლათა 100-პროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა – 4-დან ოთხივე ორქულიანი ტყორცნა გამოიყენა. მას უწევდა ოკლაჰომის ახალზელანდიელ ცენტრ სტივ ადამსთან ორთაბრძოლა, რომელიც ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე ხისტ და გაუვალ მეფარედ ითვლება. ძლიერ ოპონენტთან ბრძოლაში ფაჩულიამ საკუთარი ძალა გამოაჩინა და სეზონის საუკეთესო სტატისტიკაც დააფიქსირა.

რაც შეეხება დიურანტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოკლაჰომელთა ექსლიდერმა ყოფილ გუნდს 39 ქულა დაასეტყვა და წარმატების ყოველი გზა მოუჭრა. ყოფილ თანამებრძოლ რასელ ვესტბრუკს კი დიურანტმა არა, მაგრამ დრეიმონდ გრინმა გაქანება არ მისცა. სუპერმექულე ვესტბრუკი თავის ჩვეულ გარღვევებს ისე წარმატებით ვერ ახორციელებდა და საბოლოოდ 20 ქულას დასჯერდა. 21 ქულით და 7 პასით დაასრულა შეხვედრა სტეფ კარიმ, ხოლო კლეი ტომპსონმა ოკლენდელებს 18 ქულა მიაშველა.

4 მოგებითა და 1 მარცხით გოლდენ სტეიტი იმ 3 გუნდს შორისაა, რომლებიც დასავლეთ კონფერენციას ლიდერობენ. მომდევნო მატჩს ოკლენდელები 5 ნოემბერს მეზობელ ლოს ანჯელეს ლეიკერსთან, სტუმრად გამართავენ.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 7 ნოემბერი

**06.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **08.00** ან/ფ "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**ყოველ სექტემბერს**" (ჯ.ლოლობრიჯიდა) **14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **15.00, 01.40** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი**" **02.40** "რეალური სივრცე"

**08.00** დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **09.00** დ/ფ "ოქროს ხანა კინომუსიკაში" **10.00** მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰენკსი) **12.00** ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** დ/ფ "დემოკრატიის შუქურა" **23.00** მხ/ფ "**წითელი განთიადი**" **00.40** მხ/ფ "**გრინსთრითელი ხულიგნები 2**" **02.25** მხ/ფ "**ლოლუა მაიამიდან**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** კომედის კონცერტი **2015 00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**არხის რეორგანიზაციის გამო ტელეპროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** დ/ფ "ულმერთოთა ღამე" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** კონცერტი **16.55** სპექტაკლი "**სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე**" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მონოფიზიტობა **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მოკ. მხ/ფ **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-ოთხი კიდობნის შესახებ **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ "დამოუკიდებლობის აღდგენა" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 13.30, 1.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.00, 18.50** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ბუში**" **22.40** სერ. "**ესკობარი**"

## სამშაბათი 8 ნოემბერი

